# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 4 თებერვალი 1999 №18 (791) | ფასი 50 თეთრი


## 2 კოპალეიშვილი: მაჩუქეთ ჯოლოხავა!

18-წლამდელთა მწვრთნელი მეკარის ამნისტიას ითხოვს

## 6 ჩემი გზა



მის წასვლას ათასობით ადამიანი ითხოვდა. დღეს ყველაფერი შეიცვალა — ლუის ვან გაალი „ბარსაზე“ მოგვითხრობს

## 7 ოფიცერი

ქართველები საბჭოთა ნაკრებში



შოთა ხინჩაგაშვილი

უამცველოდ მონასტერი ხშირად არეულა



## 8 თხილამურობა ჭადრაკია?

ლასე კიუსმა და ჰერმან მაიერმა ჩემპიონობა ძმურად გაიყვეს





კოლორადოში ქართველებიც დასრიალებენ

## 10 ნბა 53-ე სეზონის წინ

უჯორდანოდ დარჩენილი ცენტრალური დივიზიონი



გუშინ სპორტის სასახლეში: „ლოკომოტივი“ — „სამგურალი“. წყალტუბოელი გელა ძაგნიძე (მარჯვნივ) თბილისელ კახა დაუშვილს ბურთს ეცილება

# პროვინციელი და სამი თბილისელი

გუშინ მიხეილ მესხის ხსოვნის მინიფეხბურთელთა ტურნირმა 11 პირველგუფელიდან 4 საუკეთესო გამოავლინა

## დღეს ნახევარფინალში:

ვიტ ჯორჯია — არსენალი

ლოკომოტივი — დილა

იხილეთ მესამე გვერდი

# მწვრთნელი ცოტა ხნით

ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელის გლენ ჰოდლის თანამდებობიდან სკანდალურ გადაყენებას საფეხბურთო სამყაროში დიდი რეზონანსი მოჰყვა. მის ნაცვლად, ეროვნული გუნდის დროებით თაკვაცად დანიშნეს ფეხბურთის ასოციაციის ტექნიკური დირექტორი ჰოვარდ უილკინსონი.

„მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე ბოლო 48 საათის განმავლობაში ბევრს ლაპარაკობდნენ, ჩემი დანიშვნა მეტად მოულოდნელი გამოდგა. ძალიან აღელვებული ვარ და არა მგონია ამან ერთ კვირაში გამიაროს“ — განაცხადა უილკინსონმა, რომელსაც 10 თებერვალს საფრანგეთის ნაკრებთან ჰყავს გუნდი მოედანზე გასაყვანი.

როდესაც უილკინსონს ჰკითხეს, თანამდებობაზე დარჩენას ხომ არ აპირებს, მან უპასუხა:

„ამ საკითხის განხილვაც არ მსურს.“

რაც შეეხება მის დამოკიდებულებას რელიგიასთან, რის გამოც ჰოდლი თანამდებობიდან მოხსნეს, იგი ასეთი ყოფილა:

„რელიგიური საკითხები ძალიან მაინტერესებს, მაგრამ მათზე, ჩემდა საბედნიეროდ, მხოლოდ სადილობისას ვსაუბრობ, მეტადრე თუ ორიოდ ჭიქა ღვინოც დავლიე.“

ჰოდლის თანამდებობიდან განთავისუფლების ამბავი იხილთ მე-4 გვერდზე.



REUTERS

გაოგნებული ჰოვარდ უილკინსონი ფოტორეპორტიორთა ალყაში მოექცა

# ვახტანგ კოპალეიშვილი: ჯოლოხავას თავდებში დავუდგები



საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები რომ საიმედო ხალხის ხელშია, ამაზე გუნდის ბოლოდროინდელი წარმატებებიც მეტყველებს.

1997 წელს პორტუგალიაში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ დღეებში გამარჯვებულებმა შარშან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჯერ ბულგარელებს სძლიეს, შემდეგ კი მასპინძელ უნგრელებთან ფრეს მიაღწიეს და ჯგუფში პირველები გახდნენ. გაზაფხულზე მათი მეტოქე ჩეხეთის 18-წლამდელთა ნაკრებია, ორი მატჩის ჯამში გამარჯვებული ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. ქართველი ჭაბუკები მეტად ახლოს არიან მიზანთან და ჩვენც იმედიანად შევყურებთ მათ მომავალს. ყველაზე მეტად ნაკრების თავკაცთა პროფესიონალიზმი გვაიმედებს. კარგია, როცა მწვრთნელს გარჯა უფასდება და ხელშეწყობას არ აკლებენ. სულ ახლახან 18-წლამდელთა დამრიგებლებს ფედერაციამ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა.

შარშან დეკემბერში ვახტანგ კოპალეიშვილს რომ გავესაუბრეთ, რამდენიმე საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი იყო. ჩეხებთან მატჩამდე არც ისე დიდი დროა და ბუნებრივია, ჭაბუკთა ნაკრების სამომავლო გეგმებმა და პრობლემებმა დაგვაინტერესა.

**— დამტკიცდა თუ არა ჩეხეთთან შეხვედრების საბოლოო თარიღი და ის ქალაქები, სადაც მატჩები გაიმართება?**

— დიახ, ჩვენი და მეტოქის მიერ შეთანხმებული ვარიანტი უეფამ დაამტკიცა. 21 აპრილს ჩეხეთში ვითამაშებთ, ქვეყნის აღმოსავლეთის ერთ პატარა ქალაქში, რომლის ადგილმდებარეობის შესახებაც პატარ რუქა გამოგვიგზავნეს.

რაც შეეხება საპასუხო შეხვედრას, იგი 11 მაისს გაიმართება. რუსთავის და ბათუმის ვარიანტებიდან ზღვისპირეთი ვარჩიეთ და, ალბათ, ბათუმში მოგვიწევს ჩეხების მასპინძლობა.

**— იანვრის ბოლოსთვის აპირებდით შეკრებას...**

— არის სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. უნდა გითხრათ, რომ ჩვენი ნაკრების ძირითად ბირთვს პირველ ჯგუფში მოთამაშე ფეხბურთელები წარმოადგენენ. გვყავს ლეგიონერებიც. მათი კლუბები სამეორეწრეო სამზადისში არიან და მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, ბიჭებს ადგილებზე გაეგრძელებინათ ვარჯიში. ზოგიერთის გუნდი კი უცხოეთში გადის შეკრებას. ნაკრების წევრთა უკეთ მომზადებისთვის ასე აჯობებს. აი, მარტში კი ყველას მოვიწვევთ და ტესტირებას ჩავუტარებთ. მერე კი თურქეთში გავემგზავრებით.

**— კონკრეტულად სად და როდის?**

— 18-დან 28 მარტის ჩათვლით ანთალიაში გავივლით შეკრებას და სამ საკონტროლო შეხვედრასაც გავმართავთ. ეს საკითხი გადაწყვეტილია და თურქულ მხარესთანაც შეთანხმებული.

**— ლაპარაკი იყო მწვრთნელთა უცხოეთში სტაჟირებაზეც...**

— არის ასეთი, იტალიის ნაკრების ბაზა — კოვერჩიანოს ეძახიან. მერაბ ჟორდანიას მის მესვეურებთან კავშირი აქვს და იქ რამდენიმე მწვრთნელის გაგზავნას გეგმავს. სემინარების შემდეგ გამოცდები მოეწყობა და თუ მწვრთნელები დადებით შეფასებას მიიღებენ, მათ გადაეცემათ ლიცენზიები, რომლის მფლობელებსაც უფლება ეძლევათ, უცხოურ კლუბებს უხელმძღვანელონ. ზუსტი თარიღი ჯერ დადგენილი არაა, აგრეთვე უცნობია იმ ხალხთა ვინაობა, ვისაც სტაჟირებაზე გაუშვებენ.

**— ხომ არ გინახავთ ის ვიდეოკასეტები, რომლებზეც აღბეჭდილია ჩეხეთის 18-წლამდელთა ნაკრების თამაში უკრაინელ და სომეხ თანატოლებთან?**

— ფედერაცია მართლაც შეგვპირდა, ამ კასეტებს მოვიპოვებთო. ისინი უკრაინულმა მხარემ უნდა გადმოგვცეს, ალბათ, მაშინ, როცა უკრაინის პირველი ნაკრების თბილისში საქართველოს ეროვნულ გუნდთან ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად ჩამოვა. თუმცა შეიძლება ყოველივე უფრო ადრე განხორციელდეს.

**— თქვენს თანაშემწედ თამაზ კოსტავა დაინიშნა...**

— ეს ჩვენი დიდი სურვილი იყო. მე და თამაზმა ერთად დავიწყეთ მწვრთნელობა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ერთ გუნდში უნდა ვიყოთ. უბრალოდ, ამ მომენტში საქმისთვის მისი ნაკრებში მოსვლა იყო საჭირო. ჩვენ ისეთ ფეხბურთელებს ვუყრით თავს, რომ საშუალება მოგვეცეს, უფრო დიდი მიზნები დავისახოთ. თამაზ კოსტავასაც ბევრი კარგის გაკეთება ძალუძს. მისი გამოცდილება ჭაბუკებს უდავოდ წაადგებათ.

**— ოთხი თამაშით დისკვალიფიცირებული აბრამიძე დაგეხმარებათ?**

— რა თქმა უნდა. ეს ფეხბურთელი გუნდისთვის დიდი ძალაა და შესარჩევ მატჩებშიც ძალიან დაგვაკლდა. თუმცა ბიჭებმა ყველაფერი ილონეს და აბრამიძის არყოფნით გამოწვეული დანაკლისი შეძლებისდაგვარად შეავსეს. დავიმატებთ ორ ახალწვეულსაც. მათი გვარების დასახელებისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ. ვგეგმავთ საკონტროლო მატჩებს ოთხმოც წელში დაბადებულებთან და პირველი ჯგუფის ერთ-ერთ გუნდთან. სწორედ მაშინ გაირკვევა შემადგენლობაც და ახლების ვინაობაც.

**— სფფ-ს სადისციპლინო კომისიამ თქვენი გუნდის მეკარე ჟიული ჯოლოხავა მსაჯის შეურაცხყოფისთვის ერთი წლით „დაასვენა". ამის შესახებ რას გვეტყვით?**

— ეს ჩემთვის მეტად მტკივნეული თემაა. ჟიულის როგორც შვილს, ისე ვზრდი. ლტოლვილი ბიჭია, ძალიან ზრდილობიანი, წესიერი და ერთგული. მინდა, მთელმა საქართველომ იცოდეს, რომ ჯოლოხავა უდიდესი ნიჭის პატრონია და მას დიდი მომავალი აქვს. ცოტა სიმაღლე აკლია, მაგრამ არა უშავს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მისი სახით ოთარ გაბელიას დონის მეკარე იზრდება და არ მინდა, ეს ბიჭი დაიკარგოს. პორტუგალიაში ოლიმპიადა რომ მოვიგეთ, ოთხმოციანები მყავდა. მაშინ პირველი გოლკიპერი ბათიაშვილი იყო. ახლა კი ჟიული ოთხმოცდაერთიანების მთავარი კარის დარაჯია.

**— ასეთი რა მოხდა?**

— როგორც შიამბეს, გაგრის გუნდში თამაშისას მსაჯს შეურაცხყოფა მიაყენა. იგი ბიჭვინთიდანაა და უფლება არ მქონდა, კლუბის ხელმძღვანელობისთვის არ დამეთმო. მე ვიცნობ იმ ხალხს, საკმაოდ ნორმალური სპეციალისტები არიან, მაგრამ გარკვეული პასუხისმგებლობა მათაც ეკისრებათ. ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ჩემს გუნდში უმთავრესი დისციპლინაა. იმ საქციელის გამო ჯოლოხავა თავად დავსაჯეთ მანამ, სანამ მას ფედერაცია დისკვალიფიკაციას გამოუტანდა. თვითონაც ძალიან განიცდის მომხდარს.

მე ვთხოვ სფფ-ს აღმასკომს და პრეზიდენტს, როგორმე აპატიონ დანაშაული და ყველას წინაშე სიტყვას ვიძლევი, რომ იგი მსგავს რამეს აღარ გაიმეორებს. ჟიულის ისედაც უჭირს. სასტუმრო „კავკასიონში" ცხოვრობს, მამამისი წვალობს და როგორც შეუძლია, ყოველნაირად უწყობს ხელს. არ მინდა, იგი ფეხბურთს ჩამოშორდეს და ქუჩაში დარჩეს, ამით ქართული ფეხბურთი ნიჭიერ ბავშვს დაკარგავს. ჯოლოხავაზე ძლიერ იმოქმედებს უთამაშებლობა.

აფხაზეთის ფედერაციამ და გაგრის გუნდის ხელმძღვანელობამ ფედერაციას თხოვნით მიმართა ჟიულის შეწყალების შესახებ. მეც მსურს, მათ შევუერთდე. ყველას გთხოვთ, დამეხმარეთ ამ საქმეში.

შეუცდომელი არავინაა. როცა მე და საშა ჩივაძე ალიოშა კოტრიკაძის დროს პირველად მივედით „დინამოში", ჩვენც დავუშვით დიდი შეცდომა და ყოველივე კარგი მაგალითი აღმოჩნდა ჩვენთვის. ღმერთის წინაშე ვფიცავ, მას შემდეგ მსგავსი რამ არ მომსვლია.

მჯერა, ასევე მოხდება, თუ ჟიულის აპატიებენ და ამის გარანტი მე ვიქნები. წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ დავაყენებ საკითხს ჯოლოხავს ფეხბურთიდან მოკვეთის შესახებ.

**ხვიჩა სანიკიძე**

# ქვარჩახია — კვიპროსში, კოლხეთი — ფოთში?

ფოთის „კოლხეთს" წლეულს არნახული დროება უდგას. ჯერ იყო და პირველი წრის დამთავრების მერე წამყვან მოთამაშეთა ჯგუფმა ზღვისპირეთში თამაშის გაგრძელება არ ისურვა. ახლაა და ლამის კვირა არ გავა, „კოლხეთს" კაცი არ დააკლდეს და აჰა, ერთიც — მეკარე ზურაბ ქვარჩახია.

ქვარჩახია ამ დღეებში სარატოვის „სოკოლს" გაჰყვება კვიპროსულ შეკრებაზე. თუ რუსეთის მეორელიგელებს ქართველი მეკარე მოეწონათ, კონტრაქტს გაუფორმებენ, მაგრამ ზურაბი ამ ჩემპიონატს მაინც „კოლხეთის" შემადგენლობაში ჩაამთავრებს. ასე მხოლოდ იმ შემთხვევაში არ მოხდება, თუ ქვარჩახიას აყვანას რუსები ახლავე მოისურვებენ. ამ ვარიანტისთვის თადარიგი კოლხებსაც დაუჭერიათ, სამაგიეროდ მეკარედ გურული გია გოგუა შეუგულებიათ. ფოთელები დინამოელი ნახევარმცველ კახა ებრალიძის გადაბირებასაც ლამობენ, მაგრამ ეს ყველაფერი, ალბათ, იმ შემთხვევაში გამოუვათ, თუ დროებით შექმნილ ფინანსურ პრობლემებს მალევე მოაგვარებენ. უამისოდ კი კოლხებს შესაძლოა ტრადიციული, ბულგარული შეკრების მოწყობაც გაუჭირდეთ. თუ 5 თებერვლამდე არ გავემგზავრეთ, მერე ბურგასში წასვლას აზრი აღარ ექნებაო, განაცხადა „კოლხეთის" ახალმა თავკაცმა გია ტყებუჩავამ.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# დოლიძე რომ ჩიოდაო...

სამტრედიის „იბერია" რომ ძირითადად უცხოეთში ფეხბურთელების „მივლინებით" არის ცნობილი, არახალია. ყოველი წრის წინ ივსება და ცარიელდება გუნდი. „სარბიელმა" ისიც გამცნოთ, თუ როგორ ჩიოდა ამას წინათ „იბერიის" მეკარე გუბაზ დოლიძე — გუნდში მხოლოდ ახალგაზრდები დარჩნენ, რა გვეშველება, არ ვიციო. და აი, კიდევ ერთმა ყოფილმა იბერიელმა, მეკარე ჩაჩუამ დატოვა კლუბი მისი თქმით, ერთ-ერთი უცხოელი აგენტის ხელშეწყობით თებერვლის ბოლოს გერმანიის რეგიონალლიგის რამდენიმე გუნდი ელის გასასინჯად და სავარაუდოდ, რომელიმე მათგანში დაიწყებს თამაშს.

ვერც გაამტყუნებ ჩაჩუას. იმერულ გუნდში გუბაზ დოლიძის მისვლით ძირითადი მეკარის ადგილი კარგა ხნითაა დაბევებული და „იბერიაში" სკამზე ჯდომას ისევ რეგიონალლიგაში თამაში სჯობს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



# მერია ჭედიას ბედია

ზუგდიდის „ოდიშის" გასაჭირზე ბოლო დროს არაერთხელ დაგვიწერია. ოდიშელებმა პირველი წრე მეათე ადგილზე დაასრულეს, თუმცა მშვიდად ყოფნის საფუძველი ნამდვილად არა აქვთ, რადგან აუტსაიდერებს სულ ორისამი ქულით არიან დაშორებულნი. პირველი წრის დასრულებისთანავე გუნდი ძირითადი შემადგენლობის დიდმა ნაწილმა დატოვა. ტყემალაძე, კიპაროიძე, ლურსმანაშვილი, ბარქაია, ჩადუნელი და თოლორდავა საკონტრაქტო პირობების შეუსრულებლობის გამო წავიდნენ, ასევე სხვა კლუბში აპირებდნენ გადასვლას კვეკვესკირი და ლურწკაია, მაგრამ მათი საკითხი ბოლომდე არ არის გარკვეული და შესაძლოა, ამ მოთამაშეებმა მეორე წრეში კვლავინდებურად „ოდიშის" ღირსება დაიცვან. მათ სანაცვლოდ ზუგდიდელებმა მეორელიგელი განმუხურის „ენგურიდან" და თავიანთი ფარმ-კლუბიდან დაიმატეს ახალგაზრდა ფეხბურთელები. ამიტომაც თბილისს, მიხეილ მესხის სახელობის ტურნირზე სათამაშოდ, ოდიშელები მნიშვნელოვნად სახეშეცვლილნი ეწვივნენ.

„ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ. მეორე წრისთვის ფაქტობრივად ახალი გუნდის შექმნა გვიწევს. ცუდი ფინანსური მდგომარეობის გამო ბევრმა გამოცდილმა და ძლიერმა ფეხბურთელმა დაგვტოვა, მათ სანაცვლოდ კი ისეთი ბიჭები დავიმატეთ, პირველ ჯგუფში რომ არ უთამაშიათ. აქედან გამომდინარე, ჩვენი უმთავრესი მიზანი უძლიერესთა შორის დარჩენაა. ამის მიღწევა ძალიან გაგვიძნელდება, მაგრამ როგორმე უნდა შევძლოთ. ჯგუფში თუ შევინარჩუნეთ ადგილი, ბიჭები გამოცდილებას შეიძენენ და შემდეგი სეზონიდან, ალბათ, ასე აღარ გაგვიჭირდება" — გვითხრა გუშინ ოდიშელთა მთავარმა მწვრთნელმა სოსო ჭედიამ. ბოლოს კი დაამატა, თუ ფინანსური მდგომარეობა ოდნავ მაინც არ გაგვიუმჯობესდა, შესაძლოა წლეულს ჩემპიონატი ვერც ჩავამთავროთ, ახლაც ზუგდიდის მერიამ გაჭირვებით გამონახა თბილისში ჩვენთვის გამოსაგზავნი ფულიო. მიუხედავად ამდენი პრობლემისა, ჭედია მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი.

იმედია, ზუგდიდის მერია გასაჭირში მყოფ კლუბს შუა გზაზე არ მიატოვებს და ჩემპიონატს დაასრულებინებს.

**ვანო ოქროპირიძე**

# იბერია: ამ ზამთარში იალტაში

ფათერაკიანი მოგზაურობის შემდეგ სამტრედიის „იბერია" 31 იანვარს უკრაინულ იალტას ეწვია და პირველი მატჩიც გამართა. გუშინ „იბერია" უკრაინის უმაღლესი ლიგის აუტსაიდერ ივანო ფრანკოვსკის „პრიკარპატიას" ეთამაშა და 1:2 დამარცხდა. ეს წარსულში კიევის „დინამოს" მეკარე იურკოვსკის სახელობის ტურნირის პირველი მატჩი გახლდათ.

სამტრედიელთა მარცხი, ჩანს, უფრო გადაღლილობამ გამოიწვია — ისინი უკრაინას ავტობუსით, ჩრდილოეთ კავკასიის გავლით ესტუმრნენ.

— გოლი თერთმეტმეტრიანი დარტყმით ვასილ გიგიაძემ მაშინ გაიტანა, როცა 0:1 ვაგებდით, მაგრამ საყაიმო ანგარიში ბოლომდე ვერ შევინარჩუნეთ — გვითხრა „იბერიის" თავკაცმა სოსო ფრუიძემ. იურკოვკის ტურნირში სამტრედიელთა და მათ გუშინდელ მეტოქეთა გარდა, ალბათ 6 გუნდი ითამაშებს. უკრაინის უმაღლესლიგელ კრივოი როგის „კრივბასს", ვინიცას „ნივას" და სიმფეროპოლის „დანიკას" დღეს სამი გუნდიც უნდა შეემატოს. თუ ასე არ მოხდა, მაშინ ხუთი გუნდი ბოლომდე წრიულად ითამაშებს, თუ არა და, ჯერ ორ ჯგუფად, მერე კი ოლიმპიური სისტემით.

სამტრედიელები იალტას 13 თებერვლამდე შერჩებიან, ამასობაში ტურნირიც მორჩება და საქართველოსკენ გამოსწევენ.

**ვახტანგ ბზიკაძე**

ფირმების რეგისტრაცია
აუდიტი
ოფშორული კომპანიები
☎ 93-52-34
8-77-42-20-59
რუსთაველის 19

ვაგროვებ თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების შეხვედრათა პროგრამებს.
ვეძებ ევროთასებზე „დინამოს" შინ — „კარდიფ სიტი", „ტვენტე", მტკ — და სტუმრად გამართული მატჩების პროგრამებს.
1936-89 წლების საკავშირო ჩემპიონატებში და თასებზე თბილისის „დინამოს" მონაწილეობით გამართული შეხვედრების პროგრამებს.
საქართველოს ნაკრების შინ და სტუმრად ჩატარებული მატჩების პროგრამებს.
ზაურ ძიურჯიევი
გლდანის მასივი, I მიკრორაიონი, მე-8 კორპუსი, ბინა 31. ტელ: 67 09 31

**მიხეილ მესხის ხსოვნის ტურნირი მინი-ფეხბურთში**

IV ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| სიონი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |

III ჯგუფი

**დილა 4:1 თსუ**

1:0 ციცქიშვილი (7), 1:1 გონჩაროვი (18), 2:1 ციცქიშვილი (23), 3:1 მარეხაშვილი (25), 4:1 ლ. გოჩაშვილი (35)

გაფრთხილება: ნინუა (თსუ)

მსაჯი: ა. მეშკოვი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 2 | 1 | 0 | 1 | 7:5 | 3 |
| გორდა | 2 | 1 | 0 | 1 | 5:6 | 3 |
| თსუ | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |

II ჯგუფი

**სამგურალი 0:1 ლოკომოტივი**

0:1 მინდიაშვილი (34)

გაფრთხილება: ხაჭაპურიძე, ახალაძე, ჯინჭარაძე (ყველა სამგურალი), ბალაშვილი, მელქაძე (ორივე ლოკომოტივი)

მსაჯი: ო. გუნთაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| სამგურალი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:4 | 3 |
| ოდიში | 2 | 0 | 0 | 2 | 3:10 | 0 |

I ჯგუფი

**ვიტ ჯორჯია 2:2 დინამო 2**

0:1 საჯაია (3), 1:1 ა. ბოკერია (23), 1:2 მიქაძე (39), 2:2 ა. ბოკერია (40)

გაფრთხილება: მაზიაშვილი, ა. ბოკერია (ორივე ვიტ ჯორჯია)

მსაჯი: თ. ლაცაბიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 1 | 0 | 8:2 | 4 |
| დინამო 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| მერანი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |

# პროვინციელი და სამი თბილისელი

## გაუმკლავდება მშიერი მაძღარს?

ლანჩხუთის „გურიას" ჩამოუსვლელობის გამო, გუშინ, თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარე მიხეილ მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე, დაგეგმილი ოთხის ნაცვლად სამი მატჩი ჩატარდა. თბილისის „არსენალმა" შემდეგ წრეში თამაშის უფლება ორი დღის წინ მოიპოვა, გუშინ კი დანარჩენი სამი ნახევარფინალისტის ვინაობაც გაირკვა.

პირველად ერთმანეთის წინააღმდეგ თსუ და გორის „დილა" წარდგნენ. სტუდენტებს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად მინიმალური სხვაობით წაგებაც კი აძლევდათ ხელს. თუ „დილა" ორი და მეტი ბურთის სხვაობით მოიგებდა, ნახევარფინალშიც გავიდოდა. ამიტომ გორელებმა თამაში შეტევებით დაიწყეს და მალე წარმატებასაც მიაღწიეს. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელმა თამაზ ციცქიშვილმა მე-7 წუთზე ლევან გოჩაშვილის კარგი პასი გამოიყენა და ანგარიში გახსნა. გორელებს შეტევები არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ, სტუდენტები კი კონტრშეტევებით პასუხობდნენ, თუმცა „დინამოში" დაბრუნებული გიორგი შენგელიას გარეშე დარჩენილებმა ტაიმის ბოლომდე რეალური მომენტი ვერ შექმნეს. მე-18 წუთზე კი ჭუმბურიძემ ძალიან კარგად ითამაშა და კარის წინ მარტოდ დატოვებულ გონჩაროვს ანგარიში გაათანაბრებინა. მეორე ტაიმის დასაწყისში „დილას" უპირატესობა უფრო გამოიკვეთა, რაც ანგარიშზეც აისახა. ციცქიშვილისა და მარეხაშვილის გოლებმა გორელებს სასურველი უპირატესობა მოაპოვებინა. ამის შემდეგ თსუ-მ შეუტია, თუმცა გოლი კვლავ საკუთარ კარში მიიღო. „დილამ" სტუდენტები კონტრშეტევაზე გამოიჭირა და მეკარესთან პირისპირ გასულმა გოჩაშვილმა მეორე ნახევარფინალისტის ვინაობა გაარკვია.

„სამგურალი" — „ლოკომოტივის" მატჩი წინაზე უკეთესი სანახავი გამოდგა. წყალტუბოელებმა უფრო გამოცდილ და ძლიერ მეტოქეს ტოლი არ დაუდეს და ოდნავ რომ გამართლებოდათ, შემდეგ ეტაპზეც გავიდოდნენ. შეხვედრა ორმხრივი შეტევებით წარიმართა, გოლის გატანა ორივე გუნდს ბევრჯერ შეეძლო, თუმცა იგი ერთხელ გავიდა — მეორე ტაიმის მე-14 წუთზე ვარლამ კილასონიას დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, დამატებაზე კი მინდიაშვილმა ივარგა. ბოლო წუთებში გაიოზ დარსაძის შეგირდებმა შეუტიეს, მაგრამ გატანა ვერ შეძლეს და ნახევარფინალშიც რკინიგზელები გავიდნენ.

ყველაზე საინტერესო თბილისის „ვიტ ჯორჯიასა" და „დინამო 2"-ის შეხვედრა გამოდგა. ამ მატჩში დინამოელებს მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს. დებიუტშივე მათი სწრაფი შეტევა გოლით დასრულდა. მარჯვენა ფრთიდან საჯაიას უძლიერესად დარტყმულ ბურთს მეკარე გუგუნავამ ვერაფერი მოუხერხა. ვიტელებმა გაშვებულ გოლს მწვავე შეტევები მოაყოლეს, მაგრამ არჩილ ბოკერიამ ზედიზედ სამი ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა. ვიტელებს შეტევები არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ, თუმცა პირველ ტაიმში მეტი გოლი აღარ გასულა. მეორე ტაიმის დასაწყისში აჩიკო ბოკერიამ მცველთა შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა. დაახლოებით 30-ე წუთიდან „ვიტ ჯორჯიას" დაღლა დაეტყო, ახალგაზრდა დინამოელებმა ეს კარგად გამოიყენეს და მეტოქე საკუთარ ნახევარზე მიაჯაჭვეს. ვიტელები აირივნენ და მხოლოდ ბურთის მოგერიებაზე ფიქრობდნენ. მათ ვერც მწვრთნელის მიერ აღებულმა წუთშესვენებამ უშველათ. ყოველივე ეს კი ლოგიკურად დასრულდა — 39-ე წუთზე „დინამოს" მორიგი შეტევა მიქაძემ ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა. დაახლოებით ნახევარ წუთში დინამოელებს მატჩის ბედის გადაწყვეტა შეეძლოთ, მაგრამ ხიზანიშვილმა ორიოდე მეტრიდან ცარიელ კარს ააცილა. ამას ვიტელებმა კონტრშეტევა მოაყოლეს — თამაზ ბოკერიამ სამი მეტოქე ჩამოიცილა და კარის წინ აჩიკო ბოკერია მოძებნა, რომელსაც გატანა აღარ გასჭირვებია და თავისიანები შემდეგ ეტაპზე გაიყვანა.



„დინამომ" მიხეილ მაზიაშვილის (შუაში) „ვიტ ჯორჯიას" ვერაფერი დააკლო

დღეს ნახევარფინალებში ერთმანეთს „ლოკომოტივი" — „დილა" და „ვიტ ჯორჯია" — „არსენალი 2" შეხვდებიან. პირველი მატჩი ოთხ საათზე დაიწყება, მეორე კი ექვსის ნახევარზე.

**ვანო ოქროპირიძე**

# რა მოელის ჭანკოტაძეს?

## შემცდარს ალმასკომი თუ უშველის

**საფეხბურთო** კონფლიქტი მსაჯსა და ფეხბურთელს შორის ჩვენში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. რამდენჯერ გვინახავს გაქცეული მსაჯი და უკან გამოდევნებული „გაშმაგებული" ფეხბურთელი. საბოლოოდ ხელთ რა შეგვრჩენია? რა და, ნაცემი მსაჯი და დასჯილი ფეხბურთელი. ერთი და იგივე მეორდება ყოველ ჩემპიონატში.

უკვე მოსაწყენია, უფრო მეტიც, ამაზრზენია ამის ყურება. და რაზე მეტყველებს ყოველივე? ალბათ, ხასიათის გადაგვარებაზე, დამახინჯებულ ფსიქიკაზე. დღეს ჩვენს საფეხბურთო მინდვრებზე ვხედავთ ყველაფერს ფეხბურთის გარდა. არ არიან ფეხბურთელები, არც მწვრთნელები და, რა თქმა უნდა, მსაჯებიც.

საქართველოში არ არსებობს ფეხბურთელი, რომელსაც ამა თუ იმ მსაჯის „ავკაცობა" გამოეპარება. ყველამ ყველაფერი იცის და არბიტრის მორიგი ხრიკისას თუ უნებლიე შეცდომისას მოთამაშე ემოციებს ვერ თოკავს.

დღეს კიდევ ერთ „ცოდვიანზე", „ვიტ ჯორჯიას" შერისხულ მცველზე გვექნება საუბარი. გიორგი ჭანკოტაძეს თანამსაჯ რუსიშვილის გასილაქება ძვირად დაუჯდა. იგი ფეხბურთიდან 12 თვით მოკვეთეს. ეს ამბავი პირველ წრეში „სინათლის" სტადიონზე მოხდა, „მერანი" „ვიტ ჯორჯიას" მასპინძლობდა.

მართალია, ჭანკოტაძემ თავისი მიილო, მაგრამ იმდროინდელ ფედერაციას არც მსაჯის „ავკაცობა" გამოჰპარვია და მასაც აეკრძალა მწვანე მინდორზე გამოსვლა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ჭანკოტაძემაც არაერთხელ მოინანია დანაშაული. გუშინ კი „სარბიელში" გვეწვია. ხვალ ფედერაციის ალმასკომი მის საკითხს საბოლოოდ გადაწყვეტს, ან თამაშის ნებას დართავს, ანაც მეთერთმეტე ჩემპიონატის დასაწყისიც უიმისოდ ჩაივლის.

გიორგის იმ ასკიდან ვიცნობ, როცა ჯერაც პირტიტველა ბიჭი ბონდო კაკუბავასთან საფეხბურთო სკოლაში ბურთაობდა. მერე იყო საქართველოს ჩემპიონატის მეორე ჯგუფი და პოლიციის „აკადემია". პირველი ჯგუფის „ვიტ ჯორჯიიდან" ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდშიც დაიმკვიდრა ადგილი. თავიდანვე აზრიან, ტექნიკურ მოთამაშედ შერაცხეს სპეციალისტებმა. სწრაფი პროგრესი ეტყობოდა, რამდენჯერ გვინახავს, ჭანკოტაძე დაბრძენებული ლიბეროსავით იქცეოდა მინდორზე და მოწონებას იმსახურებდა.

თავიდანვე წყნარი, უთქმელი ბიჭი იყო. თავის მოვალეობას ყოველგვარი „მანჭვა-გრეხის" გარეშე ასრულებდა. და უცბად გააკეთა ის, რასაც მისგან არავინ ელოდა.

ალბათ, ისევ, როგორც ბევრი რამ ამქვეყნად, შემთხვევით არც ის ინციდენტი მომხდარა. გიორგი ამისკენ ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მოდიოდა. იქნებ ვცდები, მაგრამ მაინც მგონია, რომ ჭანკოტაძემ ბოლომდე ვერ გაიაზრა, რაც მის გარშემო ხდებოდა. თავის წილ უდიდეს პასუხისმგებლობას ალღო ვერ აუღო.

ზემოთ სწრაფი პროგრესი ვახსენეთ. ამას მწვრთნელთა ყურადღება და პრესა-ტელევიზიის ინტერესი მიემატა. ესეც რომ არა, ნაკრების წევრს თანატოლებმა სხვა თვალით, უფრო მოწიწებით შეხედეს.

მაშინ უნდა ეთქვათ გიორგისთვის, რომ ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ამბავია, თითქმის ყოველდღიური და ისე უნდა ალიქვა, რომ საკუთარი თავი იმაზე მეტად არ წარმოიდგინო, ვიდრე ხარ. იმ დროს ასეთი კაცი მის გვერდით არ გამოჩნდა. ახალგაზრდულმა ასაკმაც გარკვეული როლი ითამაშა. ამგვარი რამ უფრო გამოცდილებსაც მოსვლიათ, მაგრამ მერე დიდი ფეხბურთი უთამაშიათ და არა მარტო ჩვენში.

გუშინ თითქმის საათის განმავლობაში ვსაუბრობდით და ჭანკოტაძემ სრულიად დამარწმუნა თავის გულწრფელობაში. შეიძლება ისევ ვცდები,



გიორგი ჭანკოტაძე

მაგრამ გამოცვლილი და გაზრდილი მეჩვენა. რაც ყველაზე მთავარია, მომხდარს განიცდის.

— ის დღე არასდროს დამავიწყდება, არც ის დაძაბული, ემოციური თამაში. მერე იყო თანამსაჯის გაუგებარი მოქმედება და წუთიერი აფეთქება. ემოციები ვერ მოვთოკე. რამდენიმე წუთის განმავლობაში არც კი მჯეროდა, რომ ყოველივე მე ჩავიდინე. თავ-ბედს ვიწყევლიდი. იმ დღის შემდეგ, ფაქტობრივად, ვარჯიში მივატოვე. საერთოდ, ფეხბურთიდან წასვლას ვაპირებდი. კლუბის ხელმძღვანელებს, მწვრთნელებს და თანაგუნდელებს თვალს ვერ ვუსწორებდი. ჯერ თამაშისას დავალალატე, მერე ჩემი მიზეზით „ვიტ ჯორჯიას" სამი ქულა ჩამოაკლდა. ის ჩემი ცოდვით სავსე რუსიშვილიც ვერსად ვნახე...

**— მსაჯისგან რაღა გინდოდა, კიდევ რისთვის დაეძებდი?**

— ბოდიშის მოხდას ვაპირებდი. იმ დღის შემეგ ფედერაციაში არაერთხელ მივსულვარ, მაგრამ არ გამოჩენილა. რუსიშვილი ხომ ქუთაისელია და არ ჩამოსულაო, მპასუხობდნენ.

**— კლუბში რას გეუბნებოდნენ?**

— ფეხბურთში რომ დავრჩი, მათი დამსახურებაა. პირველ ყოვლისა თანაგუნდელებმა მითანაგრძნეს, მწვრთნელებმა და კლუბის ხელმძღვანელებმა ხელი არ მკრეს, შეცდომა მაპატიეს და კრიზისი გადამატანინეს.

**— კიდევ როდის უნდა გამოუდგეს გიორგი ჭანკოტაძე მსაჯს საცემრად?**

— ეს არასდროს მოხდება. ჩემს ხმას მოედანზე ვერავინ გაიგებს. თუ რამე სადავო მომენტი შეიქმნა, ვეცდები, თანაგუნდელები დავაწყნარო. ჯობდა, სხვის შეცდომაზე მესწავლა, მაგრამ საკუთარზე ნასწავლი არასდროს დამავიწყდება. გამოცდილება საკმაო მივიღე და სამართლიანადაც დავისაჯე.

...ხვალ ფედერაციის ალმასკომი ან „ჰოს" იტყვის, ან „არას". გიორგი ჭანკოტაძეც მეორე წრეს ან ითამაშებს, ან არა. ფედერაციას თავისი წეს-კანონები აქვს. „სარბიელი" არ და ვერ ეტყვის, გინდა თუ არა, დებულება დაარღვიე და ჭანკოტაძეს თამაშის ნება დართეო. ეს მათი საქმეა და საბოლოო განაჩენიც თავად უნდა გამოიტანონ. მაგრამ...

ერთიც ვთქვათ — ისეთი შესაძლებლობების კაცს, როგორიც გიორგი ჭანკოტაძეა, სჭირდება ქართული ფეხბურთი, თუ ქართულ ფეხბურთს სჭირდება ჭანკოტაძე?

ვინ მოთვლის, რამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა უნახავს ჩვენს მრავალტანჯულ და მრავლისმნახველ ფეხბურთს. ან რით გინდა გააკვირვო გულშემატკივარი, რომელსაც მესხის, მეტრეველის, ხურცილავას, ჩივაძის, ყიფიანის და სხვა ბრწყინვალე მობურთალთა თამაშებისთვის უცქერია.

ამათ გვერდით ჭანკოტაძის გვარი ძალიან, ძალიან მოკრძალებულად ჟღერს. რით დაიკვეხნის გიორგი? კლუბში და ახალგაზრდულ გუნდში ორიოდ თამაშით. ამით იწურება ყველაფერი, მაგრამ მას გააჩნია პოტენცია იმისა, კარგი ფეხბურთი ითამაშოს. ისიც ურყევი ფაქტია, რომ გიორგი ჭანკოტაძე ერთი დაუფიქრებელი საქციელის გამო პირველ წრეში აშკარად დააკლდა „ვიტ ჯორჯიას" და ახალგაზრდულ ნაკრებს.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ნაწყვეტი გლენ ჰოდლის ახლანდელი ცხოვრებიდან

გლენ ჰოდლმა თქვა, რომ ინვალიდად დაბადებული ადამიანები წინა ცხოვრებაში ჩადენილი ცოდვების გამო ისჯებიან. ამ სიტყვებმა მთელი ინგლისი ალაშფოთა. ოთხშაბათს ჰოდლი ეროვნული გუნდის მწვრთნელის თანამდებობიდან მოხსნეს. უახლოეს შეხვედრაში მსოფლიოს ჩემპიონთან, საფრანგეთის ნაკრებთან, ინგლისელებს ფეხბურთის ასოციაციის ტექნიკური დირექტორი, ჰოვარდ უილკინსონი უხელმძღვანელებს. ასოციაცია გულშემატკივრებს პირდება, რომ ახალი მწვრთნელს შეძლებისდაგვარად მალე დაასახელებს.

ჰოდლის სიტყვები მართლაც ალმაშფოთებელი იყო. ბუნებრივია ყველა ადამიანს აქვს უფლება რელიგიური და ფილოსოფიური საკითხები ისე გაიაზროს, როგორც სურს, მაგრამ ერთია მასზე ვიწრო წრეში მსჯელობა, საჯაროდ ლაპარაკი კი მეორე. მით უფრო მაშინ, როდესაც ფეხბურთის გუნდის მწვრთნელი ხარ. წარმოიდგინეთ, რა ხასიათზე დადგებოდნენ ინგლისელი (თუ გნებავთ უცხოელი) ინვალიდები და მათი ახლობლები, როდესაც ჰოდლის მოსაზრებებს წაიკითხავდნენ.

და მოხდა ის, რაც აწყობილ, დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა მომხდარიყო — ჰოდლი სამსახურიდან გაუშვეს. ვიმეორებთ, მისი დათხოვნის მიზეზი დაბალი პროფესიული დონე არ ყოფილა. ის გენიოსიც რომ ყოფილიყო, ინგლისური საზოგადოებრიობა ათასობით ადამიანის გრძნობების ფეხქვეშ გათელვას არ აპატიებდა.

ჰოდლმა მერე ბოდიში მოიხადა. ისიც თქვა, შევცდიო და ისიც, ჩემი აზრი სწორედ ვერ გაიგესო. მოკლედ, ილუღლუღა რაღაც, როგორც შეცდომაზე გამოჭერილ ადამიანებს სჩვევიათ. სხვა გზა არც ჰქონდა.

მაგრამ, გლენ ჰოდლი რომ საინტერესო პიროვნებაა, ალბათ, არ არის სადავო. თუმცა აქაც თავისუფალია ადამიანი, ვისაც უნდა სულელად ჩათვალოს და ვისაც უნდა ფილოსოფოსად. ფაქტი ისაა, რომ ის, რაც საინტერესოა, აუცილებლად საპირისპირო აზრებს იწვევს, ხოლო უინტერესოზე არავინ დავობს.

და მაინც, საიდან მოუვიდა გლენ ჰოდლს თავში აზრად ის, რაც თქვა? ამისათვის მისი ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი გავიხსენოთ:

39 წლის წინ, როდესაც ინგლისის ნაკრების გადაყენებული მწვრთნელი ორი წლის გახლდათ, დედამისმა ფანჯრისკენ გაიხედა და მის აყირავებულ ფეხებსლა მოჰკრა თვალი — ბავშვი გადარჩა.

ოთხი წლის რომ იყო, ჰოდლმა მოულოდნელად მშობლებისგან დაიხსნა თავი და ვეებერთელა ქუჩა გადაკვეთა.

„გავიგონე მამაჩემის საშინელი ღრიალი და ადგილზე გავიყინე. მძიმე მანქანამ ცხვირწინ ჩამიარა. დღემდე ვერ გამიგია, როგორ არ დამეჯახა. მერე მივხვდი, რომ ადამიანს რა გიწერია, ის შეგემთხვევა. მას მერე ბედისწერის მწამს. ყველაფერი, რაც ჩემს ცხოვრებაში ყოფილა, უნდა ყოფილიყო" — წერს ჰოდლი თავის ავტობიოგრაფიაში.

მაშასადამე წინასწარ ყოფილა განსაზღვრული, რომ იგი ინგლისის ნაკრების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი უნდა გამხდარიყო, რომელსაც 1999 წლის 2 თებერვალს თანამდებობიდან მოხსნიდნენ.

ჰოდლის რწმენას ბედისწერის შესახებ საგანგებო იერი ნათელმხილველმა ქალბატონმა ეილინ დრიუერმა მისცა. 18 წლის იყო გუშინწინდლამდე ნაკრების თავკაცი, როდესაც „ტოტენჰემ ჰოთსპურის" შემადგენლობაში ტრავმა მიიღო. ექიმებმა სამკვირიანი მკურნალობა გამოუწერეს. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ინგლისურ ფეხბურთში ეილინ დრიუერი. მან ახალგაზრდა ფეხბურთელს ნატკენ ადგილზე ხელი დაადო და ორიოდ დღეში ჰოდლი ისევ მოედანზე გავიდა.

სამშაბათის „სანში" მესვეტე ჯონ სედლერი წერდა: „ეილინმა მას ფეხი მოურჩინა, მაგრამ თავი დაუავადა. მაშინ ფეხი გამთელდა, გონება კი საბოლოოდ დაავადმყოფდა".

ჰოდლი დიდებული მოთამაშე გახლდათ. ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავთ ვარსკვლავს მიშელ პლატინის მასზე ასეთი რამ აქვს ნათქვამი: „ის რომ ფრანგად დაბადებულიყო, დღეს ნაკრებში 100-ზე მეტი შეხვედრა ექნებოდა ჩატარებული, მის გარშემოააწყობდნენ მთელ გუნდს, ინგლისელებმა კი დაცვაში თამაშის ნაკლი ვერ აპატიეს".

„ტოტენჰემში" გატარებული 12 წლის შემდეგ, 1987-ში გლენ ჰოდლი საფრანგეთში წავიდა, სადაც „მონაკოს" შემადგენლობაში ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. სწორედ იქ გაიცნო მან არსენ ვენგერი, დღევანდელი „არსენალის" თავკაცი, რომლის სამწვრთნელო აზროვნებამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა — ჰოდლი მწვრთნელი გახდა.

ინგლისში დაბრუნებულმა 1993 წელს „სვინდონი" პრემიერ ლიგაში აიყვანა, 1994-ში „ჩელსი" ასოციაციის თასის ფინალისტი გახადა, 37 წლისამ კი ფეხბურთელობას თავი გაანება და ერთი წლის მერე ეროვნული გუნდი ჩაიბარა.

მართლაც საინტერესო და უცნაური კაცია გლენ ჰოდლი. გავიხსენოთ თუნდაც საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებული ამბები: მაიკლ ოუენი, ინგლისური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, პრემიერლიგაში ციდან ვარსკვლავებს წყვეტდა, ჰოდლი კი ზედაც არ უყურებდა ძლივს გადაწყვიტა მისი ნაკრებში წაყვანა; დევიდ ბექჰემი ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში ცოცხალი თავით არ ათამაშა, სამაგიეროდ მოედანზე ჰყავდა ტედი შერინგემი, რომელიც რამდენიმე დღით ადრე ღამის კლუბში ლუდს გეახლებოდათ და სიგარეტს ეწეოდა. ან გახსოვთ პოლ გესქოინის ესპანეთში შეკრებაზე წაყვანისა და იქიდან ინგლისში გამოსტუმრების სკანდალური ისტორია? თუ გნებავთ ჩემპიონატის შემდეგ წიგნის დაწერის ამბავი მოვიგონოთ, როდესაც ლამის მთელი ინგლისი გადარია მის მიერ აღწერილმა სურათებმა. ჰოდლს ყველა ფეხბურთელი მიწასთან ჰყავდა გასწორებული. შემდეგ, უკვე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ლუქსემბურგთან 3:0 მოგების წინ, ჰოდლს გუნდის კაპიტანთან ალან შირერთან მოუვიდა უთანხმოება.

ახალი წელი ხომ საერთოდ საშინლად დაიწყო: ჰოდლი 18 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ მეუღლეს გაეყარა.

არა, მართლა საოცარია კაცი ბედი. ოთხშაბათს, ფეხბურთის ასოციაციაში ჰოდლის მწვრთნელად დარჩენა არ დარჩენის საკითხი რომ უნდა გადაწყვეტილიყო, მისმა 13 გოგონემ სარამ BBC-ს რადიოს წერილი მიწერა.

„თუ თქვენ დროს გამონახავთ, რათა მამაჩემის ახსნა-განმარტებებს მოუსმინოთ, ალბათ მეტად გაუგებთ. გთხოვთ, საკითხს მამას პოზიციიდან შეხედეთ და ყველაფერი კარგად დასრულდება. მე ხომ ვიცი, რომ ის ძალიან ზრუნავს ინვალიდ ადამიანებზე" — წერდა სარა.

„ვილაცამ მითხრა სარას წერილის შესახებ და ვიტირე" — აღიარა ჰოდლმა.

ნაკრების მწვრთნელს მხარში, ბუნებრივია, სულიერი მოძღვარი, ეილინ დრიუერიც ამოუდგა.

„ჩვენ, ინგლისელები მისი ღირსნი არ ვართ" — თქვა ნათელმხილველმა SKY-ს ტელევიზიით გამოსვლისას — „არ მახსოვს ჰოდლს პრესაში ერთხელ მაინც მოპყრობოდნენ სამართლიანად. შესაძლოა მათ ბრძოლა მოიგეს, მაგრამ ომი ჯერ კიდევ წინაა".

**მიხეილ სურგულაძე**



ჰოვარდ ვილკინსონი



**გლენ ჰოდლი**

დაიბადა 1957 წლის 27 ოქტომბერს ჰეისში
1974: „ტოტენჰემ ჰოთსპურმა" აიყვანა
1975: მიიღო პროფესიონალის სტატუსი
1976: პირველად ითამაშა სრული შეხვედრა „ტოტენჰემის" შემადგენლობაში
1979: პირველად ითამაშა ინგლისის ნაკრებში ბულგარეთის წინააღმდეგ
1981: „ტოტენჰემის" შემადგენლობაში ფეხბურთის ასოციაციის თასი მოიგო
1982: „ტოტენჰემის" შემადგენლობაში მეორედ მოიგო ფეხბურთის ასოციაციის თასი. ფინალის ორივე შეხვედრაში გოლი გაიტანა.
1987: „ტოტენჰემის" შემადგენლობაში უკანასკნელი შეხვედრა ისევ ფეხბურთის ასოციაციის თასზე, ამჯერად მარცხიან ფინალში ჩაატარა და 1,23 მილიონ დოლარად „მონაკოში" გადავიდა.
1988: გახდა საფრანგეთის ჩემპიონი
1991: კონტრაქტის გარეშე ჯერ „ჩელსიში" გადავიდა, მერე კი „სვინდონის" მოთამაშე მწვრთნელი გახდა.
1993: „სვინდონი" პრემიერლიგაში აიყვანა.
1994: „ჩელსის" შემადგენლობაში კვლავ ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში გავიდა.
1995: უკანასკნელად ითამაშა „ჩელსის" შემადგენლობაში
1996: ინგლისის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე ტერი ვენეიბლზი შეცვალა.
1999: გადადგა ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან.



**ბრაზილიელმა** ჟულიო სეზარმა შესაძლოა დორტმუნდის „ბორუსია" დატოვოს. 35 წლის ვეტერან ფეხბურთელს დორტმუნდელთა მწვრთნელ მიხაელ სკიბესთან ურთიერთობა გაუფუჭდა. ორშაბათს ბრაზილიელმა მოთამაშემ ვარჯიშიც კი მიატოვა. „ის მეუბნებოდა, მუხლი მტკივაო და იმის ნაცვლად, ექიმთან წასულიყო, ჰამბურგს გაემგზავრა" — განაცხადა სკიბემ. სავსებით შესაძლებელია, ჟულიო სეზარი ბერძნულ „პანათინაიკოსში" გადაბარგდეს. სხვათა შორის, ბრაზილიელმა „ბორუსია" უკვე მეორედ მიატოვა — ცოტა ხნის წინ მან მშობლიურ „ბოტაფოგოს" მიაშურა, მაგრამ ისევ გერმანიაში დაბრუნდა. ჟულიო სეზარს, რომელიც ევროპაში კიდევ ფრანგული „ბრესტის", „მონპელიეს" და იტალიური „იუვენტუსის" ღირსებას იცავდა, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც უთამაშია.

**ისრაელის ლიგის თასის ფინალში, რომელიც იერუსალიმში გაიმართა, მასპინძელი „ბეითარი" თელ ავივის „მაქაბიმ" დაამარცხა. გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დრო დაინიშნა. ძირითად დროში ფრედ 1:1 თამაშის შემდეგ სტუმართა თავდამსხმელმა ავი ნიმნიმ მეორედ დალაშქრა იერუსალიმელთა კარი და ლიგის თასი მოაგებინა კლუბს. „ბეითარის" ერთადერთი გოლი იშტვან ჰამარის ანგარიშზეა.**

**ამერიკის** ნაკრების ვეტერანი ჯონ ჰარკსი შესაძლოა ინგლისიდან ამერიკაში დაბრუნდეს. 31 წლის ფეხბურთელი ამჟამად „ნოტინგემ ფორესტის" შემადგენლობაშია, თუმცა სავარაუდოდ „ნიუ ინგლენდ რევოლუშენში" გადავა. მეიჯორ სოკერ ლიგის კლუბის მოთამაშე-მწვრთნელმა, იტალიელმა ვალტერ ძენგამ განაცხადა, ჯონის დაბრუნება ძალიან მახარებსო. ამერიკულ კლუბს ჰარკსის სანაცვლოდ 250 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს. შეგახსენებთ, რომ მას 1990 და 1994 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზეც უთამაშია, ნაკრებში ჩატარებულ 86 მატჩში კი რვა გოლი გაუტანია.

**საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „მონაკოს" ნახევარმცველი ჟიბრილ დიავარა 2 ათასი ფრანკით დააჯარიმა, რადგან მან ერთ-ერთ ღამის კლუბში აყალმაყალი ატეხა. 24 წლის ფეხბურთელს უსიამოვნება 25 დეკემბერს შეემთხვა, მთელი ამ ხნის განმავლობაში კი გამოძიება მიმდინარეობდა. ჩხუბის გამო დიავარას რამდენიმე მეგობარი, ასევე ხუთი პოლიციელი დაშავდა.**

**კორეის** ნაკრების ნახევარმცველი ლი სანგ იონი ფრანგულ კლუბში გადაბარგდა. აზიელი ფეხბურთელის სანაცვლოდ კრიზისში მყოფმა კლუბმა „ლორიანმა" რამდენიმე ასეული ათასი დოლარი გადაიხადა. თავად ფეხბურთელმა, რომელიც მანამდე სეულის კლუბ „ჩუნან ილვაში" თამაშობდა, განაცხადა, ვგონებ, შევძლებ „ლორიანის" დახმარებასო. შეგახსენებთ, რომ „ლორიანი" საფრანგეთის ლიგის და ასოციაციის თასიდან გამოვარდა, ჩემპიონატში კი „ოსერთან" 0:5 განადგურდა.

**შოტლანდიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ჯონ სპენსერმა, როგორც იქნა, სათანადო კლუბი გამოძებნა. მოთამაშემ, რომელსაც 14-ჯერ დაუცავს ქვეყნის ღირსება, გუშინ შოტლანდიურ „მოზერველთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი. სპენსერი „მოზერველში" ორ წელიწადს დარჩება. „ძალიან მინდა, ქვეყნის ნაკრებში დავბრუნდე. ჩემი მიზანი სწორედ ესაა" — განაცხადა ფეხბურთელმა. თავის დროზე მას „გლაზგო რეინჯერსში", „ქუინზ პარკ რეინჯერსში", „ჩელსიში" და „ევერტონში" უთამაშია. ლონდონის „ჩელსის" დატოვება სპენსერს მწვრთნელ რუდ გულიტთან უთანხმოების გამო მოუხდა.**

**ესპანური** პრესის ცნობით, „ბარსელონას" ფეხბურთელები ოსკარ და როხერ გარსიები შესაძლოა ბედის საძებნელად საზღარგარეთ გაემგზავრონ. „ელ მუნდო დეპორტივოს" თქმით, 22 წლის როხერი, ალბათ, ფრანგულ „მონაკოში" გადავა. კატალონიური კლუბი მის სანაცვლოდ სავარაუდოდ 5,1 მილიონ დოლარს მიიღებს. სხვათა შორის, როხერი ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში გასულ წელს ევროპის ჩემპიონი გახდა. რაც შეეხება ოსკარს, მისი შეძენა ინგლისურ „ჩელსის" მოუწადინებია. 25 წლის ფეხბურთელის მიწვევა ჯანლუკა ვიალის ლონდონელთა ესპანელმა ლეგიონერმა, ექსბარსელონელმა ალბერტ ფერერმა ურჩია. ჯერ არაა გადაწყვეტილი, აიყვანს თუ არა „ბარსელონა" ოსკარს. სხვათა შორის, ორივე ძმა იოჰან კრუიფის გაზრდილია. ისინი „ბარსელონაში" სწორედ კრუიფის მწვრთნელობისას გამოჩნდნენ.

**ფრანგული „მონაკოს" პრეზიდენტმა ჟან ლუი კამპორამ უარყო ხმები, თითქოსდა კლუბი ინგლისის ნაკრების მწვრთნელობიდან განთავისუფლებულ გლენ ჰოდლს შეეხმიანა. რაც „მონაკო" ჟან ტიგანამ დატოვა, გუნდს მწვრთნელი ოფიციალურად არ ჰყავს. „გავრცელდა ჭორები, რომ ჩვენ ჰოდლი მივიწვიეთ. ეს ასე არაა, მასთან უბრალო საუბარიც კი არ გვქონია. ვინ შეცვლის ტიგანას, ჯერჯერობით უცნობია" — ეს სიტყვები იმავე ჟან ლუი კამპორას ეკუთვნის. შეგახსენებთ, რომ 1988 წელს გლენ ჰოდლი სწორედ „მონაკოს" შემადგენლობაში გახდა საფრანგეთის ჩემპიონი. მაშინ კლუბს არსენ ვენგერი წვრთნიდა. ფრანგული პრესა „მონაკოს" შესაძლო მწვრთნელებად კლოდ პუელს, კლუბის ყოფილ მეკარე ჟან ლუკ ეტორის და ჟან პეტის მიიჩნევს.**

**შოტლანდიელი** თავდამსხმელი დარენ ჯეკსონი ჩინეთის კლუბ „დალიან უინდაში" გადადის. „სელტიკის" პრესსამსახურმა ეს ცნობა რამდენიმე დღის წინ გაავრცელა. „დალიან უინდამ" ფეხბურთელის სანაცვლოდ შოტლანდიის ჩემპიონს ნახევარი მილიონი გირვანქა გადაუხადა. 1992 წლის სექტემბერში ჯეკსონმა ნეკნის ოპერაცია გაიკეთა, თუმცა მალე მომჯობინდა. „სელტიკს" პირველობის მოპოვებაში დაეხმარა, ამასთანავე საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშა. ბოლო ხანებია, იგი „სელტიკის" შემადგენლობაში ვერ ხვდება და ინგლისი „ქოვენთრიში" გაანახოვრეს. დარენ ჯეკსონს შოტლანდიის ნაკრებში 26-ჯერ უთამაშია.

**ბრაზილიელი ჟუნინიოს გამო ატეხილი ამბავი, როგორც ჩანს, მალე დასრულდება. მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტის ხესუს ხილი ხილს შვილმა, „ატლეტიკოს" თავმჯდომარე მიგელ ანხელ ხილმა ერთ-ერთ მადრიდულ გაზეთს განუცხადა, დროა, ჟუნინიოს თაობაზე მითქმა-მოთქმა შეწყდეს, იგი „ატლეტიკოში" რჩებაო. ცოტა ხნის წინ ფეხბურთელს ინგლისური „ასტონ ვილა" და „მიდლსბრო" ეპატიჟებოდნენ. მაგრამ მაინც ვერ გადაიბირეს. ამ სეზონში, რომელიც ჟუნინიოსთვის კარგად ვერ აეწყო, ბრაზილიელმა მხოლოდ შვიდჯერ ითამაშა კლუბის ძირითად შემადგენლობაში. ცნობილია ისიც, რომ ჟუნინიოს „ატლეტიკოს" იტალიელ მწვრთნელ არიგო საკისთან ურთიერთობა გაუუარესდა.**

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

# სადაც არა სჯობს...

პლატი კაცურად მოიქცა. მიხვდა, რომ საქმეს ვერ აკეთებს და თავი დაანება. მიმდინარე სეზონში გენუის „სამპდორია“ მეორედ დარჩა უპატრონოდ, ამ კლუბის ღრმა კრიზისს ვერა და ვერ ეშველა.

წარსულში ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი დევიდ პლატი 1998 წლის 15 დეკემბერს სერია A-ს ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი გახდა, იგი ჯერ მხოლოდ 32 წლისაა. იმ დღიდან მოყოლებული „სამპდორიამ“ იტალიის ჩემპიონატში ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოიგო. ბოლო ტურში, როდესაც გენუელთა არგენტინელი ნახევარმცველი არიელ ორტეგა რატომღაც სათადარიგოთა შორის მოხვდა, პლატის გუნდმა ჰიდეტოში ნაკატას „პერუჯასთან“ წააგო 0:2 და ბოლოსწინა მე-17 ადგილზე აღმოჩნდა, თანაც მეტად უიმედო მაჩვენებლით — 19 მატჩიდან 16 ქულა. ინგლისელის მისვლამდე „სამპდორია“ უკეთესად გამოიყურებოდა — მე-13 იყო. ამიტომ „პერუჯასთან“ წაგების შემდეგ მას ულტიმატუმი წაუყენეს, თუ მომავალ უქმეებზე „კალიარისთანაც“ დამარცხდებით, სამსახურს გამოეთხოვეო.

და პლატი წავიდა. მოხსნას აღარ დაელოდა, თავისი ნებით.

— გენუელ გულშემატკივრებს ჩემი სჯეროდათ, მაგრამ სამწუხაროდ, მათი იმედები ვერ გავამართლე. ეტყობა, ასეთი სამუშაოსთვის ჯერჯერობით მზად არ ვარ — პირველად ეს თქვა პლატმა გადადგომის შემდეგ.

ასე რომ, რამდენიმე წლის წინ „სამპდორიაში“ შესანიშნავად მოთამაშე პლატმა მწვრთნელად ვერ ივარგა და პრინციპით — „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“ — თავისი საქმიანობის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

პლატი მეოთხე მწვრთნელია, ვინც ამ სეზონში სერია A-ს კლუბიდან წავიდა ან დაითხოვეს. შარშან აგვისტოში „ემპოლის“ უფროსობამ ლუიჯი დელ ნეგრი გაათავისუფლა, 1 დეკემბერს მილანის „ინტერის“ მილიარდერმა პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ ლუიჯი სიმონი მოხსნა, ხოლო შობამდე ერთი კვირით ადრე სამუშაო პლატის წინამორბედმა ლუჩანო სპალეტიმ დაკარგა.

იანვარში „სალერნიტანას“ და მის თავკაც დელიო როსის შორის უთანხმოება მოხდა. შედეგად სერია A-ში მიმდინარე სეზონში აღზევებული გუნდი უმწვრთნელოდ დარჩა, მაგრამ სალერნოელი გულშემატკივრების მოთხოვნით როსი მეორე დღესვე დააბრუნეს თანამდებობაზე.



„სამპდორიას“ ერთ-ერთი ბოლო ვარჯიში პლატის (კარში) ხელმძღვანელობით

### დევიდ პლატი



1966 წლის 10 ივნისს დაიბადა მანჩესტერთან ახლოს, ჩადერტონში

1984, 27 ივლისი — 17 წლისა ჩაირიცხა „მანჩესტერ იუნაიტედში“, მაგრამ „ოლდ ტრეფორდი“ ისე დატოვა, რომ გუნდის პირველ შემადგენლობაში არ უთამაშია.

1985, 25 იანვარი — გადავიდა მეოთხე დივიზიონის „ქრიუში“ თავისუფალ აგენტად. იქ გატარებული სამი სეზონის განმავლობაში ჩაატარა 152 შეხვედრა და გაიტანა 60 გოლი

1988, 2 თებერვალი — 200 ათას გირვანქად (340 ათასი დოლარი) გადაბარგდა ბირმინგემის „ასტონ ვილაში“. მონაწილეობა მიიღო 145 მატჩში და 68 გოლი გაიტანა

1989, 15 ნოემბერი — შედგა პლატის დებიუტი ინგლისის ნაკრებში, „უემბლიზე“ იტალიის ეროვნულ გუნდთან შეხვედრაში იგი შეცვლაზე შევიდა

1990 — მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში დამატებითი დროის ბოლო წუთზე უმნიშვნელოვანესი გოლი გაუტანა ბელგიელებს. ინგლისის ნაკრებმა 1:0 მოიგო

1991, 20 ივლისი — იტალიურმა „ბარიმ“ მის სანაცვლოდ 5,5 მილიონი გირვანქა ანუ 9,27 მილიონი დოლარი გადაიხადა, ყველაზე მეტი, რაც აპენინებზე ბრიტანელი ფეხბურთელის შესასყიდად გაუღიათ. პლატმა „ბარის“ შემადგენლობაში 29 მატჩი გამართა და 11 გოლი გაიტანა

1992 — გადავიდა ტურინის „იუვენტუსში“ 6,5 მილიონ გირვანქად (10,96 მილიონი დოლარი), რაც ასევე ბრიტანეთის რეკორდი იყო. გენუის „სამპდორიაში“ გადასვლამდე, რომელმაც ტურინელებს 5,2 მილიონი გირვანქა (8,76 მილიონი დოლარი) გადაუხადა, „იუვენტუსის“ მაისური 16-ჯერ მოირგო და მხოლოდ 3 გოლის გატანა მოახერხა

1993 — გენუაში გატარებულ ორ სეზონში 55 მატჩი და 17 გოლი

1995, 14 ივლისი — შედგა საბოლოო ტრანსფერი მის კარიერაში — 4,7 მილიონ გირვანქად (7,92 მილიონი დოლარი) სამშობლოში, ლონდონის „არსენალში“ დაბრუნდა, სადაც შარშან ინგლისის თასიც მოიგო და პრემიერლიგის გამარჯვებულიც გახდა

1996 — ბოლო, 62-ე შეხვედრა ჩაატარა ინგლისის ნაკრებში ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გერმანელების წინააღმდეგ. სულ ნაკრებში გაიტანა 28 გოლი და ამ მაჩვენებლით ინგლისელთა შორის მე-6 ადგილზე აღმოჩნდა

1998, 7 ივლისი — გააკეთა საბოლოო განცხადება ფეხბურთელის კარიერის დასრულებაზე. საკლუბო დონეზე ინგლისსა და იტალიაში მონაწილეობა მიიღო 443 შეხვედრაში და გაიტანა 149 გოლი

1998, 15 დეკემბერი — დაინიშნა გენუის „სამპდორიას“ მთავარ მწვრთნელად

1999, 2 თებერვალი — მას შემდეგ, რაც მისი თავკაცობით „სამპდორიამ“ ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგო და მე-13-დან მე-17 ადგილამდე დაქვეითდა, პლატმა უარი განაცხადა კლუბში დარჩენაზე

დაბოლოს, დევიდ პლატი დღემდე რჩება უცხოეთში მოთამაშე ყველაზე მაღალანაზღაურებად ბრიტანელ ფეხბურთელად — ჯამში მისი სატრანსფერო თანხა 22,1 მილიონ გირვანქას ანუ 37,25 მილიონ დოლარს შეადგენს

## ესპანეთი

### თასის მეორე წრე

**ატლეტიკო 0:1 სოსიედადი**

0:1 ცვიტანოვიჩი (38)

გაძევება: მუტიუ ადეპოჟუ (სოსიედადი 75)

„ატლეტიკო“ დამარცხდა, მაგრამ სტუმრად გატანილი გოლების წყალობით საბოლოოდ მაინც გამარჯვებული დარჩა.

მადრიდელთა სასტარტო შემადგენლობაში კვლავ გამოჩნდა ბოლო დღეების „ნიუსმეიქერი“, ბრაზილიელი გამთამაშებელი ჟუნინიო, რომელმაც ინგლისში კარიერის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. შეგახსენებთ, მას „ასტონ ვილა“ და „მიდლსბრო“ ეპატიჟებოდნენ.

ჟუნინიო და კომპანია მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას, თუმცა გადამწყვეტ მომენტებში მადრიდელები ზუსტნი ვერ იყვნენ. ბასკები კი იშვიათად, მაგრამ შედარებით ხარისხიანად უტევდნენ.

შეხვედრის ერთადერთი გოლი 32-ე წუთზე გავიდა — ოსკარ დე პაულას გამოზომილი პასით „სოსიედადის“ ხორვატმა ლეგიონერმა იგორ ცვიტანოვიჩმა ისარგებლა და საკმაოდ ლამაზი ბურთიც გაიტანა.

მეორე ტაიმში ორივე გუნდს შეეძლო წარმატების მიღწევა, მაგრამ შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე მატჩის არბიტრმა ანტონიო ხესუს ლოპეს ნიეტომ სტუმართა ნიგერიელი ნახევარმცველი მუტიუ ადეპოჟუ გააგდო და ყველაფერი ნათელი გახდა — „სოსიედადი“ შეეგუა იმას, რომ თასისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

## ისრაელი

### ლიგის ფინალი

**იერუსალიმის „ბეითარი“ 1:2 (დ.დ.) თელ ავივის „მაკაბი“**

1:0 ჰამარი (44), 1:1, 1:2 ნიმნი (82, 102)



ატლეტიკო — სოსიედადი 0:1. ბურთისთვის ბასკი ალდეონდო (მარცხნივ) და მადრიდელი ვალერონი იბრძვიან

## შოტლანდია

### თასი მესამე წრე

**ქუინზ პარკი 0:0 დანდი იუნ.**

### მესამე წრის გადათამაშება

**ალბიონი 3:1 ბრეჩინი**

1:0 მერფი (25), 1:1 დიქსონი (30), 2:1 მერფი (80), 3:1 ლორიმერი (89)

**ჰემილტონი 1:0 სენტ მირენი**

1:0 უელსი (71)

**სტირლინგი 2:1 ჰიბერნიანი**

1:0 მაკკალუმი (15), 1:1 ლატაპი (37), 2:1 ჯექსონი (59)

**მეოთხე წრის კენჭისყრა**

აირი (I) — ალბიონი (III); კლაიდბენკი (I) ან როს ქაუნთი (III) — ქუინზ პარკი (III) ან დანდი იუნაიტედი; მოზერველი — სტირლინგი (II); გრინოკი (I) — კლაიდი (II); ჰემილტონი (I) — რეინჯერსი; სტენრირი (I) — ფალკირკი (I); ლივინგსტონი (II) — სენტ ჯონსტონი; სელტიკი — დანფერმლაინი

## ჰოლანდია

### თასი მესამე წრე

**ტვენტე 2:5 სიტარდი**

0:1 კული (21), 1:1 ვან ჰალსტი (22), 1:2 ჰემინგი (30), 1:3 გესტჰუიზენი (35), 1:4, 1:5 ჰემინგი (40, 45), 2:5 გრუჯიჩი (77)

**ეინდჰოვენი 2:0 ალკმაარი**

1:0 დირკცი (27), 2:0 ვან ნისტელროოი (65)

**ვიტესი 4:0 ბრედა**

1:0 მახლასი (29), 2:0 როიზერი (50), 3:0 მახლასი (54), 4:0 ზონგო (72)

**ემენი (II) 2:0 კამბური**

1:0 სტროვე (21), 2:0 კოიმანი (42)

## საფრანგეთი

### ლიგის თასის მეორე წრე

**მეცი 2:0 ლუანი (III)**

**ლე ავრი 0:2 ლანსი**

**სოშო 2:1 ნანსი**

## ინგლისი

### ასოციაციის თასი მეოთხე წრის გადათამაშება

**ტოტენჰემი 3:0 უიმბლდონი**

1:0 სინტონი (2), 2:0, 3:0 ნილსენი (56, 85)

ბოლო ერთი თვის განმავლობაში ორი ლონდონური კლუბი „ტოტენჰემ ჰოთსპური“ და „უიმბლდონი“ სამჯერ შეხვდა ერთმანეთს და სამივე მატჩი ფრედ დასრულდა. ამ გუნდების მეოთხე შეხვედრა, რომელიც სამშაბათს „უაით ჰართ ლეინზე“ გაიმართება და ინგლისის ასოციაციის თასის მეხუთე წრეში გამსვლელის ვინაობა უნდა გაერკვია, „უიმბლდონისთვის“ საბედისწერო გამოდგა — 0:3 წააგო.

ანგარიში მე-2 წუთზე ენდი სინტონმა გახსნა ძლიერი დარტყმის შემდეგ და სტუმრებიც დაიბნენ. ამით უპირველესად დანიის ნაკრების ფეხბურთელმა ალან ნილსენმა ისარგებლა — მეორე ტაიმის დასაწყისში მეტოქის მცველებს რომ დაეძინათ კრის პერის თავკაცობით, ანგარიში გაზარდა, ხოლო 85-ე წუთზე მუხლით მესამე გაიტანა.

მეხუთე ეტაპის მატჩში ჯორჯ გრეჰის შეგირდები „ლიდს იუნაიტედს“ ესტუმრებიან.

**მეხუთე წრის კენჭისყრა**

**13 თებერვალი**

არსენალი — შეფილდ იუნაიტედი (I); ვრექსჰემი (II) ან ჰადერსფილდი (I) — დერბი; ლიდსი — ტოტენჰემი; ბარნსლი (I) — ბრისტოლი (II); შეფილდ უენსდეი — ოქსფორდი (I) ან ჩელსი; ევერტონი — ქოვენთრი;

**14 თებერვალი**

ნიუკასლი — ბლექბერნი; მანჩესტერი — ფულემი (II)




„უიმბლდონის“ გამნადგურებელნი — ენდი სინტონი და ალან ნილსენი



*ზედიზედ ექვსი გამარჯვება! ლუის ვან გაალის „ბარსელონამ" 13 დეკემბრიდან მოყოლებული უკლებლივ ყველა მეტოქე გაცამტვერა და მეათე ადგილიდან პირველზე აღზევდა. სწორედ მაშინ, როცა მწვრთნელის მოხსნის აუცილებლობასა და კატალონიური კლუბის ღრმა კრიზისზე საუბრობდნენ, სასწაული მოხდა. კაცმა რომ თქვას, სასწაული კი არ მოხდა, იგი თავად „ბარსელონამ" მოახდინა.*

*ვითომ გადაიარა კრიზისულმა პერიოდმა? ჯერჯერობით ასე ჩანს, თუმცა ეს დანამდვილებით არავინ იცის. ინტერვიუ, რომელსაც ახლა გთავაზობთ, ლუის ვან გაალთან მაშინ შედგა, როცა მას კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს და „ბარსელონას" ქომაგები ყოველდღე ითხოვდნენ მის გაშვებას.*

*დღეს სიტუაცია შეიცვალა. ლუის ვან გაალი „ბარსელონასთან" სათავეში მყარად დგას.*

# ჩემი გზა



სარბიელის არქივიდან

ასეთი დროც დადგება — ქომაგები მას ავტოგრაფს სთხოვენ

**— ალბათ, არ ელოდით, თუ პირველსავე სეზონში ესპანეთის ჩემპიონატს და თასს მოიგებდით. შესაძლოა ასეთმა წარმატებულმა დებიუტმა მომავალიც გაგირთულათ.**

— რა თქმა უნდა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მიმდინარე სეზონი გაცილებით მძიმეა, ვიდრე წინამორბედი, ახლა კლუბს მეტს სთხოვენ. გულშემატკივრები მარცხს ვერ იტანენ, წაგება კი ცხოვრების ნაწილია. აი, მაგალითად, „რეალმა" ჩემპიონთა ლიგა რომ მოიგო, ჩვენც იგივე მოგვთხოვეს. თან „ბარსა" საუკუნოვან იუბილეს ზეიმობს და ჩემპიონთა ლიგის ფინალი „კამპ ნოუზეა". ყოველივე ამის გათვალისწინებით თასი თითქოსდა ჩვენ უნდა მოგვეგო, მაგრამ ასე არ მოხდა. კლუბის მარცხს საშინელი კრიტიკა მოჰყვა. ხალხს მარცხთან შეგუება არ სურდა. ამან სიტუაცია დაძაბა. მდგომარეობის გაუარესებაში დიდი როლი ითამაშა შარშანდელმა დუბლმაც.

**— თქვენ ამბობდით, რომ შედეგი გაკმაყოფილებდათ, გუნდის თამაში კი არა.**

— მართალია. შეიძლება თასი მოიგო, მაგრამ ცუდად თამაშობდე. გამარჯვება კარგია, თუმცა გუნდის სახეც არანაკლებ მნიშვნელოვანია, კარგი გუნდის ჩამოყალიბება მალე არ ხერხდება. მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონა" ესპანეთის ჩემპიონი გახდა და თასიც მოიგო, კლუბი კარგად ვერ თამაშობდა. იცით, რატომ გავნადგურდით წინა სეზონში კიევის „დინამოსთან"? ჩვენ, ტაქტიკური თვალსაზრისით სხვა საფეხურზე გადავდიოდით, მეტოქეს კი თავისი ტაქტიკა ბრწყინვალედ ჰქონდა დამუშავებული. ევოლუციის პერიოდში მყოფი „ბარსელონა" ამიტომ დამარცხდა. წაგებაცაა და წაგებაც. განა ვინ არ დამარცხებულა? მთავარია, საკუთარი თავი დროზე იპოვო და გაიმარჯვო.

**— წინა სეზონში „რეალი", „ატლეტიკო", „ვალენსია", „დეპორტივო" მაინცდამაინც კარგად ვერ თამაშობდნენ. თუ გიფიქრიათ, რომ თქვენ გაგიმართლათ?**

— მაშინ არა და ახლა კი. როცა ის გამარჯვება წარსულს ჩაბარდა, მივხვდი, რომ შარშან ესპანეთში კარგი გუნდი, როგორც ასეთი, არ იყო. პრიმერა დივიზიონში ბევრი ვარსკვლავი თამაშობს, აი, კარგი კლუბი კი ერთი-ორია. „ბარსელონა" მუდამ გუნდური ფეხბურთისკენ ილტვოდა და ამიტომაც გაიმარჯვა. თუნდაც მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატი ავიღოთ. ფინალში საფრანგეთმა ბრაზილია გაანადგურა. რატომ? განა ბრაზილიის ნაკრებში ნაკლები დონის ფეხბურთელები თამაშობდნენ, ვიდრე საფრანგეთისაში? არამც და არამც. ბრაზილია ვარსკვლავთა სამშობლოა, უბრალოდ, მეტოქემ გუნდურ თამაშში აჯობა. დღეს ფეხბურთმა სახე იცვალა. წავიდა ის დრო, როცა მატჩებს პიროვნებები იგებდნენ.

**— ახალი სეზონის წინ გუნდი ერთობ შეიცვალა. არადა, ჩემპიონობის და თასის მოგების შემდეგ „ბარსელონას" ძირთვისკენ გადახალისებას არავინ ელოდა. რატომ მოხდა ასე?**

— მე გუნდის ლიდერებს არ ვეყრდნობი. გამორჩეულად საყვარელი ფეხბურთელიც არ მყავს. გუნდის ყველა მოთამაშე ჩემთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია. ვთვლი, რომ თუ რომელიმე დღეს ლიდერია, არაა აუცილებელი, ხვალეც იგივედ დარჩეს. ცხადია, არ ვგულისხმობ, რომ კარგი მოთამაშე ძალით უნდა გავაფუჭოთ, უბრალოდ, დღეს ერთი იქნება, ხვალ — მეორე. მაგალითად, სანამ „ბარსელონაში" მივიდოდი, რონალდომ სეზონში 46 გოლი გაიტანა. ხალხს „ბარსელონა" უიმისოდ ვერ წარმოედგინა. წავიდა რონალდო და გუნდი ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა. ეს კი მანამდე არ ხერხდებოდა. იგივე ითქმის ხოსეპ გვარდიოლაზეც. საჩემპიონო სეზონში მან ძალიან ცოტა თამაში ჩაატარა და სხვამ შეცვალა. ხომ ხედავთ, დაბრუნდა და კვლავ დაიბრუნა ლიდერობა. ერთი სიტყვით, ვთვლი, რომ ცვლილებები საჭიროა.

**— ესპანეთის ჩემპიონატს ამ სეზონში ორი ჰოლანდიელის — თქვენი და გუს ჰიდინკის დაპირისპირებად განიხილავენ. ამის თაობაზე რას ფიქრობთ?**

— აბსოლუტურად მცდარი აზრია. ჩვენს გარდა ჩემპიონატში არანაკლებ ძლიერი მწვრთნელები მონაწილეობენ. რადგან მე „ბარსელონას" ვხელმძღვანელობ, ჰიდინკი კი „რეალს", არ შეიძლება ესპანეთის ჩემპიონატი ქვეყნის ფეხბურთის ორი გრანდის თავკაცთა პირად დუელად აქციო, სხვები კი არად ჩააგდო. როგორც მწვრთნელი, ლუის ვან გაალი გუს ჰიდინკისგან ძალიან განსხვავდება.

**— ადგილობრივი პრესა გამუდმებით გაკრიტიკებთ — ესპანელ ფეხბურთელთა „ბარსელონაში" მოხვედრას ხელს უშლისო.**

— კრიტიკით მართლაც მაკრიტიკებენ, მაგრამ რაც შეეხება ხელის შეშლას, ეს ცილისწამებაა. ყველა ის ესპანელი ფეხბურთელი, რომლებიც „ბარსელონამ" გაასხვისა — დე ლა პენია, ფერერი, ამორი — კლუბის სამომავლო გეგმებში არ შედიოდა. რამდენიმე კლუბი ლუის ენრიკეს და გვარდიოლას თაობაზეც შეგვეხმიანა, მაგრამ ისინი დავიტოვეთ. „ბარსელონა" მხოლოდ დღევანდელი დღით არ ცხოვრობს. ის შორს იხედება. იცით, ის ათი მილიონი დოლარი, კლუბმა დე ლა პენიას სანაცვლოდ რომ მიიღო, სამ წელიწადს გუნდის მეორე და მესამე შემადგენლობების სრულყოფილ ჩამოყალიბებას მოხმარდება.

**— „ბარსელონაში" უამრავი ლეგიონერია, მათ შორის, რვა ჰოლანდიელი. „ბარსელონას" გულშემატკივართა დაკარგვის საფრთხე ხომ არ ემუქრება?**

— ვიცი, რასაც ამბობს ხალხი. მათ ჰგონიათ, რომ ვისაც კი ვიცნობ, ყველა „კამპ ნოუზე" მიმყავს. მე ძლიერი ფეხბურთელები მაინტერესებს და როცა თანაბარი ძალის ჰოლანდიელი და ფრანგიდან ერთ-ერთი უნდა ავირჩიოთ, განა არ მიჯობს, თანამემამულე შევიძინო? ის ხომ უფრო კარგად გამიგებს, ის ხომ უფრო წაადგება გუნდს. „ბარსელონაში" რვა ჰოლანდიელის ყოფნა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მათგანი ძირითადში ითამაშებს. არავინ იცოდა, ვინ იყო ჰესპი, სანამ იგი ჩვენთან მოვიდოდა. დღეს იგი ქომაგთა კერპია. სხვათა შორის, მის სანაცვლოდ არაფერი გადაგვიხდია.

**— გასულ სეზონში „ბარსელონაში" სატრანსფერო პოლიტიკას ბობი რობსონი განაგებდა. შარშან ცოტა ფეხბურთელი შეიძინეთ. ინგლისელი თქვენი გეგმების განხორციელებას ეწინააღმდეგებოდა?**

— არა, რას ამბობთ, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ დღეს რივალდო ჩვენთანაა. რობსონი ფეხბურთელთა შერჩევაში ძალიან მეხმარებოდა. კლუივერტის, ბოგარდის და რაიციგერის შეძენაც მისი წინადადებით განხორციელდა. რაც შეეხება იმას, თუ რატომ გადაიბარა „ბარსელონამ" გასულ სეზონში მხოლოდ სამი ფეხბურთელი, ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ კლუბში ახალმოსული ვიყავი და ძირეულ ცვლილებებს ვერიდებოდი.

**— ჟურნალისტები ხშირად მიმართავენ ისტორიას. თქვენ კლუბის ბოლო სამ მწვრთნელს შეგადარეს. თქვეს, ტერი ვენეიბლზი ხუმარა იყო, ლუის ვან გაალი კი ძალიან სერიოზულიაო. თუ იოჰან კრუიფი ზარმაცობდა, ვან გაალი მუხლჩაუხრელად მუშაობსო. იმასაც ამბობენ, ბობი რობსონი რბილი მწვრთნელი იყო, ვან გაალი კი ძალიან მომთხოვნიაო.**

— არ ვიცი, რატომ მადარებენ სხვებს. ისე, მირჩევნია, თქვან, ვან გაალი, მშრომელი და მკაცრი იყო, ვიდრე ზარმაცი და ლმობიერიო. ერთ დღეს, როცა „ბარსელონას" დავშორდები, ხმამაღლა ვიტყვი — მე ყველანაირად ვცდილობდი, „კამპ ნოუზე" კარგი გუნდი შემექმნა-მეთქი.

**— შარშან „ბარსელონამ" თითქმის ორმოცწლიანი შესვენების შემდეგ დუბლი შეასრულა. მიუხედავად ამისა, ქომაგთა დასწრებამ პროცენტულად იკლო. რატომ?**

— წეღან ნათქვამს ვუბრუნდები. გასულ სეზონში „ბარსელონა" ვერ იყო კარგი გუნდი და ხალხიც ამიტომ იყო ნაკლები. ადრე, მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონა" თასს ვერ იგებდა, საუცხოოდ თამაშობდა. გულშემატკივრებიც ავსებდნენ ტრიბუნებს. თუ გუნდმა ლამაზი ფეხბურთი არ ითამაშა, ისე ხალხი სტადიონზე არ მივა. „ბარსელონაში" იმიტომ მივედი, რომ ბრწყინვალე გუნდი შევქმნა.

**— კლუბიდან ნაკრებზე გადავიდეთ. ფრენკ რაიკარდის მომავალი ჰოლანდიის ნაკრებში როგორ გესახებათ?**

— ის შესანიშნავი პიროვნებაა და ამასთანავე ძლიერი ფეხბურთელიც იყო. ვერ გეტყვით, რამდენს მიაღწევს იგი სამწვრთნელო ასპარეზზე, მაგრამ ფეხბურთელები მასთან მუშაობით რომ არ წააგებენ, ეს ნაღდია.

**— რა არის იმის მიზეზი, რომ ჰოლანდიის დარი პატარა ქვეყანა ფეხბურთში ასე ძლიერია?**

— ფეხბურთი ჰოლანდიაში მეცნიერების დონემდეა აყვანილი. საფეხბურთო ინფრასტრუქტურა ჩვენთან უმაღლესი დონისაა. საუკეთესო საფეხბურთო სკოლები, მწვრთნელთა ბრწყინვალე აკადემიები, ეს ყველაფერი წარმატებას განაპირობებს.

**— ერთ-ერთ ადრინდელ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ ნაკრების გაწვრთნა გსურთ. ახლა რას ფიქრობთ?**

— ქვეყნის პირველი გუნდის თავკაცობა ჩემი ოცნება იყო და არის. მომავალში ეგებ ვუხელმძღვანელო კიდეც ჰოლანდიის ნაკრებს, მაგრამ ახლა ამაზე საუბარი ძალიან ნაადრევია. ერთადერთი, რაც არ გამომიცდია, ეს ნაკრების მწვრთნელობაა. ვნახოთ, მერე რა იქნება. ჯერ მთლიანად „ბარსელონას" ვეკუთვნი. ჩემი გზა კატალონიაზე გადის.

**მოამზადა ლაშა გოდუაძემ**





სარბიელის არქივიდან

ვუთ ერთად! — ლუის ვან გაალი და ძმები დე ბურები

## ამხანაგური მატჩი

**10 თებერვალი ხორვატია — დანია**

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში იტალიასთან ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრის მოახლოებამდე დანიის ნაკრებმა ხორვატებთან შეპაექრება გადაწყვიტა.

დანიელთა მწვრთნელმა ბო იოჰანსონმა გუშინ ნაკრების შემადგენლობა დაასახელა. მან გუნდში კვლავ მიიწვია „მანჩესტერ იუნაიტედის" ვეტერანი მეკარე პეტერ შმაიხელი. გუნდის კაპიტანი ხორვატებთანაც გაუძღვება ნაკრებს. ბო იოჰანსონმა იტალიური „მილანის" ნახევარმცველ ტომას ჰელვეგს და გერმანიის „ლევერკუზენის" მცველ იან ჰაინცესაც უხმო. მათ ჯერ მთლიანად არ მოუშუშებიათ ტრავმები. სხვათა შორის, ჰაინცეს კლუბის შემადგენლობაში 1997 წელს თბილისშიც უთამაშია. მწვრთნელის 18 რჩეულს შორის მოხვდა ინგლისის „სანდერლენდის" მეკარე ტომას სორენსენი. მას ნაკრებში ჯერ ერთხელაც არ უასპარეზია.

გუნდის 18-კაციანი შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — პეტერ შმაიხელი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ტომას სორენსენი (სანდერლენდი, ინგლისი); მცველები — სორენ კოლდინგი (ბრონდბიუ), იან ჰაინცე (ლევერკუზენი, გერმანია), რენე ჰენრიკსენი (კოპენჰაგენი), იეს ჰოგი (ფენერბახჩე, თურქეთი), იაკობ ლაურსენი (დერბი, ინგლისი), კლაუს ტომსენი (ვოლფსბურგი, გერმანია); ნახევარმცველები — პერ ფრანდსენი (ბოლტონი, ინგლისი), ტომას გრავესენი (ჰამბურგი, გერმანია), ტომას ჰელვეგი (მილანი, იტალია), მარტინ იორგენსენი (უდინეზე, იტალია), ალან ნილსენი (ტოტენჰემი, ინგლისი), ბრიან სტინ ნილსენი (კოპენჰაგენი); თავდამსხმელები — სორენ ფრედერიკსენი (ოლბორგი), მიკლოშ მოლნარი (სევილია, ესპანეთი), ებე სანდი (ბრონდბიუ), იონ დალ ტომასონი (ფეიენოორდი, ჰოლანდია)

## მდიდრებს რა აატირებთ

გაირკვა: „მანჩესტერ იუნაიტედი" მსოფლიოს უმდიდრესი კლუბი ყოფილა. მისი შემოსავალი 49,11 მილიონი დოლარით მეტია უახლოესი, ესპანელი და იტალიელი მდევრების შემოსავალთან შედარებით.

საყოველთაო დათვლის შედეგად გაირკვა, რომ ინგლისური კლუბის სარფი 1997 წელს 146,8 მილიონი დოლარი იყო.

პლანეტის 20 უმდიდრესი კლუბიდან ევროპის გარეთ მხოლოდ ერთია — ბრაზილიური „ფლამენგო", რომელიც მე-11 ალმოჩნდა.

— „მანჩესტერის" შემოსავალი გონივრული მარკეტინგის შედეგია. იგი თავის მაისურებს არათუ სამშობლოში, არამედ შორეულ აღმოსავლეთშიც სადაც ხალხს მისი თამაში ცოცხლად არასდროს უნახავს" — განაცხადა ჟურნალ „ფორ ფორ თუს" რედაქტორმა მეტ ტენჩმა.

იტალიურ კლუბებს შორის უმდიდრესი აღმოჩნდა „იუვენტუსი", რომლის ბიუჯეტიც 87,09 მილიონი დოლარი გახლავთ. იგი ოცეულში მეოთხეზე მოხვდა. მის წინ არიან ესპანელი გიგანტები „ბარსელონა" (96,43 მილიონი) და „რეალი" (91,16 მილიონი).

ოცეულში ყველაზე მეტნი მაინც იტალიელები მოხვდნენ. მეექვსეზეა „მილანი", რომლის ბიუჯეტი 77,74 მილიონი დოლარია, მეათე გახლავთ „ინტერი" (63,99), მეთხუთმეტე — „რომა", მეთვრამეტე — „პარმა", ხოლო მეცხრამეტე — „ლაციო".

ჩემპიონთა თასის წინა მფლობელი, გერმანული დორტმუნდის „ბორუსია" 69,06 მილონით მეშვიდე ყოფილა, თუმცა, ცხადია, ჩამორჩება ქვეყანაში ყველაზე პოპულარულ „ბაიერნს", რომელიც 84,45 მილიონით მეხუთე გახლავთ.

პრემიერლიგიდან ოცეულში ხუთნი მოხვდნენ: „ნიუკასლი", „ლივერპული", „ტოტენჰემი", „არსენალი" და როგორც მოგახსენეთ, „მანჩესტერ იუნაიტედი".

მეთოთხმეტეა შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსი", მეჩვიდმეტე — ჰოლანდიური „აიაქსი".

ჩემი მეზობლის დიდი ბებია, ანუ ბებიის დედა ოდესღაც სმოლნის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში სწავლობდა. ეს ქალბატონი, ძველ მიქელაძეთა შთამომავალი, მგონი, ოთხმოცი წლისა იყო, ან სულაც ასისა. ჩემს მახსოვრობაში სახლიდან არ გამოდიოდა, დიდ ლოჯიაში იჯდა სავარძელში, ხუთი-ექვსი სათვალე ელაგა მუხლებზე და ქსოვდა. ამ ქალბატონს მრავალი რამ გადაეტანა, კომუნიზმის შენების მიზეზით დაეკარგა მამა, ძმები, ქმარი; თავად ყაზახეთში ეცხოვრა ძალიან დიდხანს და რასაკვირველია, რუსულად ლაპარაკობდა.

რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, მისი მთავარი გასართობი ფეხბურთი იყო. დიდ ბებიას უყვარდა ფეხბურთის ტელერეპორტაჟების ცქერა პატარა ბიჭებთან ერთად, ანუ იმათთან ერთად, ვისაც ჯერჯერობით მარტოს არ უშვებდნენ სტადიონზე. პატარა ბიჭების შემადგენლობა პერიოდულად იცვლებოდა, დიდი ბებია კი სათვალეებს იცვლიდა და ფეხბურთზე ლაპარაკობდა.

მან არ იცოდა არც ერთი თბილისელი ფეხბურთელის გვარი. უფრო სწორად, იცოდა მხოლოდ ყიფიანი, სხვებს კი იმახსოვრებდა იერით, სათამაშო ხერხებით, გოლებით, გვარების გამო კი ამბობდა, ჩემს დროს ასეთი გვარები არ იყოო. დიდი ბებია თავადიშვილი გახლდათ, თანაც იმერელი, ფეხბურთის არსში დიდად ვერ ერკვეოდა, მაგრამ საოცრად უყვარდა ტელერეპორტაჟების ყურება. უხაროდა, როცა ისინი, რომელთა გვარებიც არ ახსოვდა, რუსებს ამარცხებდნენ. დიდი ბებია, თავისი ოდნავ ბრაზიანი რუსულით გვიხასიათებდა ჩვენს ფეხბურთელებს.

ეს წერილი „დინამოელი" მცველის, შოთა ხინჩაგაშვილის შესახებაა.

იყო დრო და იყო მშვენიერი კლუბი თბილისის „დინამო" თავისი რთული ომებითა და დაუვიწყარი გამარჯვებებით. ეს იყო კომუნისტური ეპოქის ბოლო ათწლეული, რომლის მიწურულსაც აღესრულა კიდეც დიდი ბებია, კომუნისტების მიერ აგრერიგად ტანჯული, ბედს შეგუებული დიდი ბებია, ალბათ ოთხმოცი, ან სულაც ასი წლისა. ეგებ ბევრს ვლაპარაკობ ბებიაზე, ვისთან ერთადაც არაერთხელ მიყურებია ტელერეპორტაჟი, მაგრამ სარედაქციო დავალების მიღებისთანავე მიქელაძეთა შთამომავალი ბებია გამახსენდა.

ერთხელ დიდმა ბებიამ ეკრანისკენ თითი გაიშვირა და რუსულად იკითხა:

— ამას რა ჰქვია?

ვუთხარით.

— კარგი ბიჭია. როგორ იცის იმათი ამბავი, სულ მოგებულია, წაგებულიც მოგებულია, მოტყუებულიც გეომება. ნახე, როგორ წააქცია. შენ იცი, ადრე ოფიცრობა იყო ასეთი.

არ ვიცი რატომ, დიდი ბებიის არცთუ ჩამოქნილი და ნაწყვეტ-ნაწყვეტ წამოსროლილი აზრი „დინამოელი" (იმხანად განაპირა) მცველის შესახებ, სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში და მაშინ, როცა ფეხბურთი ნამდვილ, დიდ სიყვარულად მექცა და არა ტელეგართობად, შოთა ხინჩაგაშვილს ყოველთვის ისე ვუყურებდი, დიდმა ბებიამ რომ აღწერა. მის თამაშსა და ბრძოლაში ყოველთვის ამ უცნაური ქალის აზრები ჩანდა.

შოთა ხინჩაგაშვილის კარიერის საუკეთესო წლები ნოდარ ახალკაცის „დინამოში" მოიაზრება. იმ შემადგენლობის „დინამო" ისევე იყო ხინჩაგაშვილისა, როგორც ყიფიანის, გუცაევის, ჩივაძის, კოსტავასი და სხვათა. ხინჩაგაშვილი ისევე იყო „დინამოს" სახე, როგორც სულაქველიძე და შენგელია. უფრო სწორად, ის არ იყო ერთი რომელიმე ფეხბურთელი მშვენიერი გუნდისა — ის სახელი იყო. სახელი და საიმედო კედელი, მკვიდრად, თითქოს სამუდამოდ ნაშენი.

ერთხანს საბჭოთა ნაკრებშიც თამაშობდა, ნიკიტა სიმონიანის არცთუ ძლიერ და შთამბეჭდავ გუნდში, თუმცა, მის კარიერაში სანაკრებო კვალი არამც და არამც არ იყო მთავარი. ხინჩაგაშვილი უფრო საკლუბო ფეხბურთელი იყო, მოთამაშე, რომელიც ისე გრძნობს თავს საკუთარ კლუბში, როგორც თევზი წყალში. ის „დინამოსთან" შეზრდილ მოთამაშედ აღიქმებოდა. თუმცა, ის ეპოქა, დღევანდელისგან განსხვავებით, სავალდებულო თუ ალალი ერთგულების დრო იყო, თუმცა „შეზრდილი" არცთუ სწორი და მორგებული ტერმინია.




ქართველები საბჭოთა ნაკრებში

# შოთა ხინჩაგაშვილი

## ოფიცერი

შოთა ხინჩაგაშვილი გუნდის მშვიდად ყოფნის გარანტი გახლდათ. უმისოდ (და ტრავმები დიახაც რომ აწუხებდა) მონასტერი ხშირად არეულა. როგორი გახსოვთ იგი? ალბათ, ასე: ჩვენი სტადიონი, რა თქმა უნდა, „დინამო" უტევს, რა თქმა უნდა, ბურთი მოწინააღმდეგის საჯარიმოს შორიახლოს ტრიალებს. შენც ამ ბურთს, კომბინაციის მსვლელობას ადევნებ თვალს, მაგრამ არ იქნება, წამიერი მოდუნების ჟამს შენი ნახევრისკენ არ გამოაპარო თვალი — ცენტრალურ წრეში მარტოდ დგას ფეხბურთელი. თითქოს შემთხვევით დარჩენილა. აქ დგას, არც კი მოძრაობს, ფეხს თუ მოინაცვლებს და ეგაა. ერთი შეხედვით არაფერში მონაწილეობს და მოშორებით მიმდინარე თამაშს ადევნებს თვალს. სწორედ ეს კაცია შოთა ხინჩაგაშვილი — გუნდის ზურგი.

გაგახსენდება ცნობილი სათამაშო შეძახილი:

— ფრთხილად, ბოლო კაცი ხარ!

პირდაპირ არა და სიმბოლურად უნდა გავიგოთ ეს შეძახილი. ეს არის შეძახილი სიფრთხილისა და უკანასკნელი იმედისა. როცა გუნდი უტევდა, ხინჩაგაშვილი ცენტრალურ წრეში იდგა და გაცვეთილი სიტყვათშეთანხმება რომ ვიხმაროთ, „თამაშს კითხულობდა". „თამაშის მკითხველ" ფეხბურთელს გულშემატკივარი ყოველთვის ამჩნევს. რადგან, თამაშის კითხვა ამოცანის ზუსტად ამოხსნას გულისხმობს. ხინჩაგაშვილმა ეს იცოდა. ის ფიქრიანი მკითხველი იყო და რახან მომზადებული ფეხბურთელი გახლდათ, პასუხიც უმრავლეს შემთხვევაში ზუსტი ჰქონდა. მცველის შრომა თვალნათლივი და ლამაზია, თუ, რა თქმა უნდა, ოსტატობა არ გიმტყუნებს. ამ მხრივ კი ხინჩაგაშვილს წუნი არ დაედებოდა. მრავალწლიან კარიერაში მას იმდენი რამ ესწავლა და ისე კოხტად მოერგო „დინამოს" თამაშისთვის, რომ ამის აღმწერ სიტყვად ერთი მოკლე და მეტყველი რამ — „კლასი" გამოდგება.

სადად თამაშობდა, ფაფხურისა და არცთუ ლამაზი მიხრა-მოხრის გარეშე. ბუნებას დაეჯილდოებინა ჩამოქნილი, გამოკვეთილი მოძრაობებით. იერით ტიპიური სამოცდაათიანელი იყო, მაღალი, ხმელი, წელგამართული, ღია ფერის წამოზრდილი თმითა და თხელი ულვაშით. ხისტი და ზუსტი იყო ორთაბრძოლებში, ისე ჩაუწვებოდა ხოლმე მოწინააღმდეგეს, რომ.. პოზიციურად თითქმის უცდომელი, ჭკვიანი ჩამჭრელი და ჩამშლელი. აქ ჩამოთვლა არ არის მთავარი. მთავარი ძლიერი ზურგია. საიმედო მეტად პატარა სიტყვაა.

ბევრს ეხსომება: თასების თასის საპასუხო ნახევარფინალში, „ფეიენოორდის" წინააღმდეგ, ხინჩაგაშვილმა ყვითელი ბარათი მიიღო. იმ დღეს მსაჯობა (ავსტრიელი ვებერი) უსამართლო იყო, მაგრამ „დინამომ" გაძლო და ორი მატჩის ჯამით ფინალში გავიდა. სიხარულის და იმ უნამუსო ავსტრიელის დამარცხებით შობილ სიამაყეს ერთგვარ ხიფათს უქმნიდა ხინჩაგაშვილის ყვითელი — ეს ბარათი, ტურნირში რიგით მეორე, დიუსელდორფში ჩასვლას უკრძალავდა დინამოელთა ზურგს. გულშემატკივარები ძალიან შიშობდნენ ჩვენი დაცვის ორგანიზებულობის გამო. არა იმიტომ, რომ ნოდარ ხიზანიშვილი ვერ გასწევდა მძიმე ჭაპანს, არამედ იმიტომ, რომ ოსტატობასთან ერთად, ხინჩაგაშვილი მაინც რჩებოდა დაცვის მთავარ ორგანიზატორად, „დინამოს" საჯარიმოს კლიტედ.

იმ წლების წყვილი — ხინჩაგაშვილი — ჩივაძე ძალიან ძლიერი, თავისებური და შეხამებული რამ გახლდათ. სამწუხაროა მხოლოდ, რომ სანაკრებო დონეზე ამ წყვილმა ფრთები ვერ გაშალა. ისინი ერთმანეთს ავსებდნენ: ჩივაძე, თავისი მასშტაბურობით, შეტევის დაუცხრომელი სურვილით, გოლებით, ამავდროულად ჩამშლელის საუცხოო თვისებებით და ხინჩაგაშვილი თავისი დაცვის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხითა და პროფესორის წოდებით. ეს საუცხოო წყვილი იყო — ლამაზი და ძლიერი. ჩივაძემ იცოდა, რომ მის გვერდით გაუტეხელი და მძლავრი კაცი იდგა. ეს, რა თქმა უნდა, ხელ-ფეხს უხსნიდა მსოფლიოში განთქმულ ვარსკვლავს, სხვანაირად „რუსეთის პასარელას". ხინჩაგაშვილმა კი იცოდა, რომ ჩივაძე სწორედ ასეთი იყო საჭირო. ამიტომ, ის იდგა ცენტრალურ წრეში. იდგა და კითხულობდა თამაშს. მას ყოველთვის ჰქონდა პასუხი.

შოთა ხინჩაგაშვილი ვერ გამოვიდა „რაინშტადიონის" მინდორზე, მან ვერ ითამაშა მატჩი, რომლისკენაც მთელი ცხოვრება მიდიოდა. იმ შეხვედრის ტელერეპორტაჟის ხლივისას იყო წამები, როცა გულშემატკივრებს ახსენდებოდათ სრულიად კონკრეტული მიზეზების გამო. დაცვის რამდენიმე ეპიზოდის ხილვისას ვიღაცას აღმოხდებოდა: „შოთა უნდა, შოთა". შოთა კი არ იყო.

გარეგნულად თითქმის ყოველთვის მშვიდი იყო, მაგრამ ისიც ფაქტია — მისი სამუშაო უაღრესად ნერვიული გახლდათ. ეხუმრები? ამდენ წელიწადს, უცვლელად იყო სამხრეთული გუნდის დაცვის საქმეთა გამრიგე. ამდენ ხანს, ამდენი პრობლემით, საუკეთესო წლებშიაც კი დინამოელთა დაცვა ლიბერალიზმით სცოდავდა. ამიტომ იყო, რომ ხინჩაგაშვილს ჰქონდა აფეთქებები, ბარათებით არცთუ უხვ წლებში მას მოედნიდანაც კი გააძევებდნენ ხოლმე. ამ დროს ის უხეშიც იყო და უკანაც არაფერზე დაიხევდა.

თვალნათლივი ეპიზოდი ამგვარი აფეთქებისა, ციურიხიდანაც გვახსოვს. „დინამოს" ევროგათამაშება „გრასჰოპერსმა" დაატოვებინა. შინ 1:0 და გასვლაზე 0:4. ციურიხული შეხვედრის მსაჯი, ფრანგი კიტაბჟანი „გრასჰოპერსს" მეოთხედფინალისკენ ეწეოდა. თუმცა, არც ისე იყო საქმე, რომ დინამოელებმა კარგად ითამაშეს. ხინჩაგაშვილის ყვითელი ბარათი უმალ წითლად გარდაისახა, რახან შოთამ მსაჯს ხელი აუკრა და ბარათი ხელიდან გააგდებინა. ამ ეპიზოდის დასასრულს აღარ გავიხსენებთ. და მით უმეტეს, ვარშავის ბლოკისა და ნატოს დაძაბული ურთიერთობის გამოც ვიტყვით რამეს. საფეხბურთო ჟარგონი რომ მოვიშველიოთ, ასე გამოვა: ხინჩაგაშვილმა თავად „გაიჩალიჩა" ეს ბარათები. იერით მშვიდი, ჩანს, მართლაც ძალიან განიცდიდა უსამართლობას. საკვირველია მხოლოდ, რომ „ფეიენოორდის" წინააღმდეგ უკვე ყვითელი ბარათით დასჯილმა წითელიც არ გამოსტყუა მსაჯს, თორემ შუაგულიან საკამათო იმ თამაშში იმდენი იყო, რომ ათ შეხვედრას ეყოფოდა. მაგრამ ეს სხვა დრო იყო — უკვე გამოცდილს მშვენივრად ესმოდა, მოედნის დატოვება გუნდს დაღუპავდა.

ისე კი, ნებისმიერი სადავო ეპიზოდისას, შეტევა იქნებოდა თუ დაცვა, ერთ-ერთი პირველი მიეჭრებოდა მსაჯს. ასეთი მშვიდი და ფეთქებადი. თუმცა კი, ამგვარი რამ იშვიათობა იყო იმიტომ, რომ ხინჩაგაშვილის აფეთქება მეორეხარისხოვანი რამ რჩებოდა მის თამაშთან შედარებით.

ის ოფიცერი იყო. დიდი ბებია მართალს ამბობდა, რადგან ყველაფერი ენახა და ყველაფერი იცოდა. ასეთების წასვლა ძალიან ეტყობა ხოლმე გუნდს. დღეს იოლია, წავა კაცი და მის ადგილს ახალნაყიდი ფეხბურთელი იჭერს. შეცვლა მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი გამოდის. მაგრამ ისეთ დროს და ისეთ საფეხბურთო სისტემაში, ხინჩაგაშვილს რომ მოუწია თამაშმა, ასეთი თითქმის შეუძლებელი იყო.

ეგებ სტატისტიკოსები გამომედავონ კიდეც, მაგრამ ხინჩაგაშვილის ფეხბურთიდან წასვლა მე დრამატულად მახსოვს:

თბილისში „ნაპოლი" ჩამოვიდა. გუნდს დიადი ჰოლანდიელი რუდი კროლი კაპიტნობდა, თავდასხმას კი მარადონას მეგობარი და საუცხოო პარტნიორი, არგენტინელი რამონ დიასი ლიდერობდა. ხინჩაგაშვილი თამაშობდა, ოღონდ ტრავმით. „დინამო" ის აღარ იყო, რაც წლინახევრის წინათ, მაგრამ ეს არ იყო ხელწამოსაკრავი „დინამო". ხინჩაგაშვილს აუცილებლად უნდა ეთამაშა და ითამაშა კიდეც, ოღონდ პირველ ტაიმშივე შეცვალეს. ის დიასს შეებრძოლა, თავისი ცნობილი „პადკატი" „გაუჭიმა". მძიმე სამუშაო იყო ტრავმირებული, ოცდაათს გადაცილებული, წლობით უცვლელად მოთამაშე მცველისთვის. ეს „პადკატი" უკანასკნელი იყო — ხინჩაგაშვილი კოჭლობით გავიდა მოედნიდან. მის ნაცვლად ამირან ანდღულაძე გამოიყვანეს. ასე დამთავრდა კარიერა.

ეგებ იყო სხვა თამაშებიც. ეგებ კვლავ დაბრუნდა და გაიბრძოლა (სტატისტიკოსები ალბათ გვეტყვიან), მაგრამ ეს მისი უკანასკნელი თამაში იყო. გავიდა ისე, როგორც დაჭრილი ოფიცრები ტოვებდნენ კამპანიას. ის სამოცდაათიანი წლებიდან მოდიოდა. ეგებ, ჩასაფიქრებელიც იყოს, ოთხმოციანების ვარსკვლავთან ჭიდილში გამოეთხოვა ფეხბურთს.

თუკი ოდესმე შეიქმნებოდა თბილისის „დინამოს" საფეხბურთო ენციკლოპედია, რომელშიც მოკლედ დაახასიათებდნენ ყოველ დინამოელს, მე ასე დავახასიათებდი შოთა ხინჩაგაშვილს: „მცველი. კარიერაში ერთადერთხელ გაიტანა გოლი და ისიც იაშინის კარში. თუკი ოდესმე თბილისის „დინამო" იპოვის მცველს, რომელსაც ბოლომდე და დაუნანებლად მიანდობს საკუთარი საჯარიმოს კლიტეებს, ეს კაცი ხინჩაგაშვილს უნდა ჰგავდეს. ის ყოველთვის თამაშობდა — ნატკენი ფეხით, გახეთქილი შუბლით, მას შეეძლო საჯარიმოდან თავურით გამოეტანა საშინელი კიევური კუთხური, აწეულიყო ორმეტრიან თავდამსხმელებზე მაღლა. მას შეეძლო, არ წამოგებოდა სწრაფ და გრძელფეხება მოწინააღმდეგეთა მოძრაობებს და შეეძლო, დაევიწყებინა მოედანი, თამაში და უბრალო შეჯიბრი, როცა აფეთქდებოდა ხოლმე. ის იყო ზურგი, სიმტკიცე და კედელი — ფეხბურთისთვის შობილი კაცი, რომელიც საკუთარ ნახევარს განაგებდა".

დიდი ბებია ბრძენი ქალი იყო, მისი სიტყვები კი — უშეცდომო. ალბათ, ამიტომაც დამამახსოვრდა. ძველ დროში ნაწვალებმა ბებიამ არაფერი იცოდა ფეხბურთისა, თუმცა უყვარდა იგი გულუბრყვილოდ და ალბათ იმიტომ, რომ ქართველები რუსებს ამარცხებდნენ. საოცარი ბებია იყო, რუსულად ლაპარაკობდა და ხინჩაგაშვილს „ოფიცერი" უწოდა.

ამ წერილს რომ ვწერდი, ვიფიქრე: „მაგარი ვინმე იყო დიდი ბებია! ხინჩაგაშვილი ხომ მართლა ოფიცერი გახდა". აი, მისტიკური ნათქვამი. მაგრამ ბებიამ არაფერი იცოდა ფეხბურთის არსისა, უბრალოდ ის საოცრად ხედავდა ადამიანებს.

ირაკლი გამყრელიძე



შოთა ხინჩაგაშვილი (მარჯვნივ) — თბილისის „დინამოს" დაცვის; კედლივით გაუვალი სახელიანი წევრი

რამაზ ცერცვაძის არქივიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ჩაფხუტი ჩემი თავშესაფარია

1997 წლის ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონი ჟაკ ვილნევი ერთობ პოპულარული და ამასთან საკმაოდ უცნაური პიროვნებაა, ასეთ ხალხზე კი ცნობილ ჟურნალ „პლეიბოის" ნადირობა აქვს გაჩაღებული. ჰოდა, „პლეიბოის" კალმოსნებმა და ფოტორეპორტიორებმა ჟაკი რედაქციაში მიიწვიეს, ჯერ იყო და, ტრადიციისამებრ, მკერდმოშიშვლებული ლამაზმანი შემოუსვეს ბოლიდზე, მერე კი ინტერვიუც გამოსთხოვეს. კითხვათაგან ერთი ასეთი იყო: ცოტა უცნაურად ხომ არ გეჩვენება, ტუალეტშიც ჩაფხუტით რომ შედიხარ?

ვილნევმა გულწრფელად უპასუხა: „ეს ჩვეულება ჯერ კიდევ ამერიკაში ასპარეზობის დროიდან მომყვება. იქ ქომაგებს თავისუფლად შეეძლოთ ბოქსებში შემოსვლა და მოსვენებასაც არ მაძლევდნენ, ჩაფხუტი კი იოლად გიცავს სხვათა თვალთვალისგან." ალბათ, სწორედ ამაზეა ნათქვამი — ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.



REUTERS

# ამერიკა მოწაფეა



კალათბურთი, კრივი ან კეტბურთი რომ ყოფილიყო, ვიტყოდით, ამერიკის შეერთებულ შტატებს ვიღაც გერმანია ეწვიაო, მაგრამ ფეხბურთია და ამიტომაც ნურას უკაცრავად, ვიღაც ამერიკას თვით გერმანიის ნაკრები ესტუმრა. ჰოდა, მიიყვანეს ადგილობრივებმა დიდოსტატების ვარჯიშზე ასამდე ლეკსონვილელი გოგო-ბიჭი. სტუმრებიც არ შერცხვნენ. გერმანელთა მთავარმა მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა (ზედა ფოტოზე) ბავშვებს სასარგებლო რჩევები ჩამოურიგა. გუნდის კაპიტანმა, უბერებელმა ვარსკვლავმა ლოთარ მათეუსმა კი აგერ, ამ პატარა გოგონას აუხსნა როგორ უნდა დააბზრიალოს ბურთი. 6 თებერვალს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი აშშ-ის ნაკრებს გაეჯიბრება.

# ჩემპიონთა ამბორი

REUTERS



კრივის მსოფლიო ორგანიზაციის ქვემძიმე წონის ყოფილი ჩემპიონი კრის იუბანკი მოდელიორებს დამეგობრებია და ფარშევანგსავით მოსილი გამოსულა გლაზგოს ერთ-ერთ პოდიუმზე. ეს დანკლა-ბიჭი წარმოადგენდა უგანთქმულესი ბრიტანელი მოდელიორის ვივიენ ვესტვუდის წლევანდელ კოლექციას. ვესტვუდს მტკიცედ უპყრია ბრიტანელი ფასონების ლიდერის კვერთხი აგერ უკვე ოცდაათი წელიწადია. იუბანკს ალარაფერი უპყრია, მაგრამ ჩვენების ბოლოს მათი ჩახუტება მაინც „ჩემპიონთა ამბორად" შერაცხეს.





REUTERS

# გახედნე მთები!

რვამეტრიან ტალღას ადამიანები კი არა, გემებიც უფრთხიან, ოღონდ არა კალიფორნიაში მდებარე ნახევარმთვარის ყურეში. მამაცი სერფერი ივენ სლეიტერი ამ ქარიშხალში მარტში გასამართ საერთაშორისო პირველობისთვის ემზადება, რომელსაც „გახედნე მთები" ეწოდება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე უცხოური ფეხბურთის განყოფილება ლაშა გოლუაძე დავით კოჭზირიძე, ვანო ოქროპირიძე ონისე შინჯიკაშვილი კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე ინფორმაციის განყოფილება ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კეძელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29